www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 11 დეკემბერი, 2009 წელი. №271 (2309) | ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424


## ობამა ნობელის პრემიას დაბალი რეიტინგით ხვდება

A8



## მალხაზ ასათიანი: „ჯანო ანანიძე სეზონის მთავარი აღმოჩენაა“

A13



## „გაერთიანებული ტელეკომის“ მომხმარებელი დავალიანებას ალტერნატიული საშუალებებით ფარავს

თბილისსა და რეგიონებში სააბონენტო ბაზა კომერციულ ბანკებსა და ტერმინალებში ჩაიტვირთა

A5


24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA
HYUNDAI


# რაღა დარჩა სამშაბათამდე...

## ჩამოვა თუ არა საახალწლოდ U2 საქართველოში?

ია ვეკუა

ეს არც მფრინავი თეფშია, არც საიდუმლო კოსმოსური სადგური და მით უმეტეს, არც მოდერნიზებული შაპიტო - ეს საკონცერტო სცენაა, ალბათ ყველაზე მასშტაბური და სანახაობრივი, ფუტურისტული, დაუჯერებელი დიზაინის კონსტრუქცია, რომელიც ერთი კონკრეტული ტურნესთვის აიგო - U2-ს 360˚ Tour-ისთვის. ჯგუფი მსოფლიო ტურნეს რამდენიმე თვეა მართავს, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი ერთი შემთხვევის გამო გახდა - U2-ს მოსალოდნელი კონცერტის შესახებ თავად საქართველოს პრეზიდენტმა გვაუწყა.

ეს 8 დეკემბერს სასტუმრო "რედისონში" საქართველო-ლატვიის ბიზნეს ფორუმის გახსნისას სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე პროგრესის შესახებ საუბრობდა.

გაგრძელება A9 გვერდზე



# მიმართვა თბილისიდან და ვაშინგტონიდან

დათო გამისონია

აშშ-სა და რუსეთის უთანხმოების მთავარი თემა კვლავ საქართველოა. საგარეო ურთიერთობათა საბჭოში გამოსვლისას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ გორდონმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა. მისი თქმით, კრემლის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცნობა უკანონოა და ამას ვაშინგტონი არასდროს დაუჭერს მხარს. გარდა ამისა, მან აშშ-ს მიერ დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ისაუბრა: **"შტატები რუსეთზე ზეწოლას გააგრძელებს და ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული კორიდორების გახსნას მოითხოვს. რუსეთის ვეტოს შედეგად სამხრეთ ოსეთში - ეუთო-ს, ხოლო აფხაზეთში გაერო-ს მისია დაიბლოკა. ამიტომ ამერიკა ცდილობს, ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში ახალი მექანიზმები მოძებნოს და საქართველოს ამ გზით დაეხმაროს."** ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჰილარი კლინტონის თანაშემწემ საქართველოსაც მისცა რეკომენდაციები. გორდონს მიაჩნია, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ის არის, რომ საქართველომ, როგორც სტაბილურმა, აყვავებულმა და მიმზიდველმა ქვეყანამ დემოკრატიული განვითარება და ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესი გააგრძელოს, რათა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის სურვილი გაუჩნდეთ. ამიტომ, გორდონის თქმით, **"აშშ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა დავეხმაროთ მათ, სწორად გაიგონ ჩვენი ხედვა, კერძოდ ის, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მოკლე დროში და სამხედრო გზით არ მოხდება."**

ამავე დროს, ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელობაზე ისაუბრა ბონში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. "ევროპის სახალხო პარტიის" ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ **"ევროპული ფასეულობები და ევროპული ოჯახის წევრობა საქართველოს არჩევანია."** პრეზიდენტმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, 2008 წელს განხორციელებული რუსული აგრესიის მიუხედავად, რომელიც დღესაც გრძელდება - საქართველო პრაქტიკულად ოკუპირებულია, ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირს ითვლის და თითოეული მათგანი რუსული ეთნიკური წმენდის მსხვერპლია - საქართველოს დემოკრატიული რეფორმებისა და განვითარების გზიდან არ გადაუხვევია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გამწვავებაზე არავინ წავა

**დღის შეკითხვა:**

რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ საქართველოს გამო საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის მიმართ რეზოლუციების პოლიტიკიდან სანქციებზე გადავიდეს?

***ზურაბ დავითაშვილი,***
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში:*

ამ ეტაპზე ნამდვილად არ არის მოსალოდნელი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთს სანქციები დაუწესოს. ეს შეიძლება განხორციელდეს რუსეთის მხრიდან რაიმე მკვეთრი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში. ბოლო პერიოდში კი მსგავსი რამ არ მომხდარა.

საბოლოო შედეგი ჩემთვის ნათელია. არ შეიძლება ერთ მხარეს იყოს მსოფლიო თანამეგობრობა, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ზნეობა და ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერიული ამბიციები და რუსეთი გამოვიდეს გამარჯვებული.

ეს არის ხანგრძლივი პროცესი. რამდენ ხანში მოხდება სასიკეთო ცვლილებები და კონკრეტულად რა პირობებმა შეიძლება დააჩქაროს მოვლენები, ძნელი სათქმელია.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილია ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია. ეს არის სუვერენული უფლება ჩვენი ხალხისა, ჩვენი სახელმწიფოსი. არ შეიძლება ვინმე ამას დაუპირისპირდეს და გამარჯვებული გამოვიდეს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, რუსეთს ვგულისხმობ.

***ანდრო ბარნოვი,***
*პოლიტოლოგი:*

ვფიქრობ, მსგავსი რამ დღესდღეობით არ არის მოსალოდნელი. ერთია სურვილი, მაგრამ რეალობა სხვაგვარია.

დღეს რუსეთს სერიოზული გავლენა აქვს დიდ სახელმწიფოებზე, ევროპასა და ამერიკაზე.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ავღანეთში, კავკასიაში. აქედან გამომდინარე, რუსეთს აქვს ის ძალა, რომელიც დიდ და გავლენიან სახელმწიფოებს აიძულებს, სიფრთხილე გამოიჩინონ.

***კახა გოგოლაშვილი,***
*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტი, ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:*

შეუძლებელია, ახლო მომავალში მსგავსი რამ მოხდეს. სანქციების მიღებაზე რომ ყოფილიყო საუბარი, აქამდეც დააწესებდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მთავრობა გაზრდილი სოციალური გარანტიების მიმღებთა წრეს აფართოებს

სოციალური დაცვის ახალ გარანტიებს 2004 წლის ცხინვალის მოვლენებისას, ავღანეთსა და ერაყის სამშვიდობო ოპერაციებისას დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებიც მიიღებენ.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ამის შესახებ ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, გუშინ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა. კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებმა მეორე მოსმენით განიხილეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი.

ხუროშვილის თქმით, მთავრობა თანახმაა, გაფართოვდეს იმ ოჯახების წრე, რომლებიც გაზრდილ სოციალურ გარანტიებს მიიღებენ.

მიუხედავად ახალი გარანტიებისა, მთავრობა არ იზიარებს საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკას აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას დაღუპული ჯარისკაცების მხოლოდ შრომისუუნარო მეუღლე და მშობლები მიიღებენ. როგორც ხუროშვილმა განაცხადა, მთავრობას აქვს იმის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ არ აიღოს ისეთი სოციალური ვალდებულებები, რომლის განხორციელებაც შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს.

აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მეუღლეების, შვილებისა და მშობლების პენსია 55 ლარამდე იზრდება. მათთვის წესდება კომპენსაციაც 44 ლარის ოდენობით. თუმცა, ამ კომპენსაციას მხოლოდ შრომისუუნარო მშობლები და მეუღლეები მიიღებენ.

### "ქრისტიან-დემოკრატები" მოსამართლეებს იცავენ

"ქრისტიან-დემოკრატები" მოსამართლეების ზემდგომი მოსამართლეებისგან დაცვას ითხოვენ. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ შესაბამისი კანონპროექტი წარმოადგინა.

როგორც ლალიაშვილმა განაცხადა, სასამართლო სისტემაში დღემდე დამკვიდრებულია მანკიერი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იმავე სასამართლოს მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქმეების შესაძლო გადაწყვეტის შედეგების განხილვას რაც, ლალიაშვილის შეფასებით, პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მოთხოვნას. აღნიშნული მუხლის თანახმად "არავის არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე". ლალიაშვილის განცხადებით, ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის მიერ საქმის დეტალებით დაინტერესებამ და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებამაც კი შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს საქმის განხილვის შედეგებზე, რაც, დეპუტატის შეფასებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში მიუღებელია. შესაბამისად "ქრისტიან-დემოკრატების" საკანონმდებლო წინადადება სწორედ "ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას ითვალისწინებს". "ქრისტიან-დემოკრატების" კანონპროექტი - "საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს და გამორიცხავს მოსამართლის საქმიანობაში ზემდგომი პირების ჩარევასა და მათზე ზეწოლას.

# გამწვავებაზე არავინ წავა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ევროატლანტიკური სივრცე საქართველოს საკითხის გამო რუსეთთან სერიოზულად მუშაობს, არსებულ ვითარებაში ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. მით უფრო წარმოუდგენელია სანქციების გატარება ამჟამად, როცა ნატო-ს კომისიამ დაიწყო მუშაობა და ევროკავშირმაც განაახლა მოლაპარაკებები პარტნიორობის და თანამშრომლობის ურთიერთშეთანხმებაზე.

სერიოზული საუბრები მიმდინარეობს ირანის საკითხზე, ავღანეთის ომზე, ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ რომ რუსეთთან გამწვავებაზე არავინ წავა; მით უმეტეს, ევროკავშირი შეერთებული შტატების გარეშე, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს.

ცვლილებისთვის საჭიროა გარემოებების შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკითხი გაიწელება.

# საქართველოში H1N1 ვირუსის გამო პანიკის საფუძველი არ არსებობს

ნათია მსხილაძე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში H1N1 ვირუსის გავრცელება ეპიდემიის ზღვარს უახლოვდება, ჯანდაცვის ორგანიზაციების წარმომადგენლები პანიკის საფუძველს ვერ ხედავენ, რადგან არსებული სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

ვირუსული ინფექციების დროულად დადასტურებისა და შესაბამისად მასთან ბრძოლის მიზნით თბილისის მერიამ ახალი პროგრამა შეიმუშავა, რომლის ფარგლებშიც პოლიკლინიკების ექიმების ბინაზე გამოძახება უფასო იქნება. პროგრამის დასაფინანსებლად თბილისის ბიუჯეტიდან მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამა ვირუსით დაავადებულთა რიცხვის პოტენციური ზრდის პერიოდში, ზამთრის სეზონზე, 4 თვის განმავლობაში იმუშავებს. პროგრამაში 1000-მდე უბნისა და ოჯახის ექიმია ჩართული, მთლიანობაში კი, თბილისის მოსახლეობას უბნების მიხედვით 60 პოლიკლინიკა ემსახურება. **"გამოძახება, რომლის საფასურიც სხვადასხვა პოლიკლინიკების მიხედვით აქამდე 12-დან 20 ლარამდე იყო, უფასო იქნება. ჩვენ ყოველთვიურად თითოეულ ექიმს 225 ლარს გადავუხდით და თითოეულ პოლიკლინიკას კი - ექიმზე 50 ლარს. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ გამოძახება იქნება უფასო, ოღონდ ეს გამოძახება, ცხადია, ეხება საკუთრივ გრიპს და არა სხვა დაავადებებს,"** - აღნიშნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

თბილისის მერის განმარტებით, პოლიკლინიკის ექიმთა ბინაზე უფასოდ გამოძახების პროგრამის ამოქმედების ერთ-ერთი მიზეზი იყო ასევე საავადმყოფოების განტვირთვა. სტატისტიკის თანახმად, H1N1-ით დაავადებულთა უმრავლესობა, პოლიკლინიკების ნაცვლად, უმთავრესად სტაციონარებს აკითხავს.

მერის განცხადებიდან მეორე დღესვე პოლიკლინიკებს თბილისის მოსახლეობის უმრავლესობამ მიმართა. ექიმები გამოძახებას ვერ აუდიოდნენ, თუმცა ადგილზე მისულებს, საბედნიეროდ, "ღორის გრიპის" შემთხვევები არ ხვდებოდათ, მაგრამ პაციენტების უმეტესობას ფულის გადახდა არ სურდა და ნებისმიერი სახის გაციების შემთხვევაში ექიმის უფასო მომსახურებას ითხოვდა.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ამ ეტაპზე ვირუსით 2000-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული, ლაბორატორიულად კი 368 შემთხვევაა დადასტურებული. სტაციონარში ამჟამად 40 ადამიანი მკურნალობს, ხოლო ხუთ შემთხვევაში ვირუსით დაავადებულთა მდგომარეობა მძიმეა და პაციენტები ხელოვნური სუნთქვის აპარატზე არიან მიერთებულები.

მედიკოსები მოსახლეობას მიმართავენ, რომ გრიპის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს მიაკითხონ და უკვე ახალი პროგრამის ფარგლებში ექიმი გამოიძახონ.

როგორც საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, უკვე მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეწყვიტა პანდემიური გრიპის ინდივიდუალურ შემთხვევათა აღრიცხვა და ასევე ლაბორატორიული დადასტურება, რადგან საქართველოში გრიპის ყველა ვირუსი "ღორის გრიპია" და ლაბორატორიული დადასტურება აღარ სჭირდება. "ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა, რომ დაავადებული ელოდებოდა ლაბორატორიის პასუხს - ღორის გრიპით იყო ავად თუ სხვა გრიპით, რამაც პაციენტის დამძიმება გამოიწვია და დღეს იგი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული. ამიტომ, როგორც კი ექიმი გრიპის ვირუსზე მიიტანს ეჭვს, ეს უკვე "ღორის გრიპია", რომლის მკურნალობა სიმძიმის მიხედვით უნდა წარიმართოს," - აღნიშნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ. მისივე თქმით, დღემდე საქართველოში "ღორის გრიპით" დაავადების არც ერთი შემთხვევა ლეტალურად არ დასრულებულა.

ე.წ. "ღორის გრიპის" სამკურნალოდ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით მედიკოსები ორ პრეპარატს გამოიყენებენ, ესენია შვეიცარული პრეპარატი "ტამიფლუ" და ინგლისური მედიკამენტი "რელენზა", თუმცა აღნიშნული პრეპარატები მოსახლეობამ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მიიღოს.

# შიდა ქართლში განაღმვითი სამუშაოები დასრულდა

შიდა ქართლში განაღმვითი სამუშაოები დასრულდა. ფეთქებადი ნარჩენებისგან გასუფთავებული ბოლო სოფელი - მეღვრეკისი ადგილობრივ თვითმმართველობას ოფიციალურად გუშინ გადაეცა.

მეღვრეკისში განაღმვით სამუშაოებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოორდინაციით, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია The HALO Trust აწარმოებდა. სპეციალისტებმა 270, 6 ჰექტარი ტერიტორია 282 ასაფეთქებელი მასალისგან გაასუფთავეს.

ფეთქებადი ნარჩენებისგან გასუფთავებული სოფელი დაათვალიერეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხარშილაძემ და ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა. ღონისძიებას შიდა ქართლის გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილიც ესწრებოდა.

"აგვისტოს ომმა ძალიან დიდი საფრთხეები დატოვა, რომლებიც პირდაპირ ემუქრებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, მათ გავფრთხილებოდით. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი გასუფთავებულია", - აღნიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხარშილაძემ.

განაღმვითი სამუშაოები დასრულდა გორის რაიონის სოფელ შინდისშიც. ორგანიზაცია The HALO Trust-ის სპეციალისტებმა სოფელი (95,5 ჰექტარი) 161 კასეტური იარაღის ნარჩენისგან გაასუფთავეს. განაღმული და გასუფთავებული ტერიტორია გუშინწინ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩაიბარა.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ჰუმანიტარული განაღმვის ხარისხს საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაცია "ინფორმაციის მართვისა და განაღმვითი საქმიანობის პროგრამები" (iMMAP, aSS) აკონტროლებს.

შიდა ქართლში მიმდინარე განაღმვითი სამუშაოები აშშ-ის დაფინანსებით განხორციელდა; 2008 წლის აგვისტოდან აშშ-მა The HALO Trust-ის საქართველოს პროგრამისთვის 6,7 მლნ დოლარი გამოყო, აქედან 4,3 მლნ შიდა ქართლში მიმდინარე განაღმვით სამუშაოებზე დაიხარჯა. რეგიონში ფეთქებადი ნარჩენებისგან სულ 18 სოფელი გასუფთავდა.


**განცხადება**



საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა 1995-1999 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, **კონსტანტინე კოკოევი**.

**განცხადება**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 1995-1999 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის **კონსტანტინე კოკოევის გარდაცვალების გამო.**


# პარლამენტის წინ, პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს პროფკავშირები საკანონმდებლო ორგანოს მისი ინიციატივების იგნორირებაში ადანაშაულებს და საკითხის მოგვარებისთვის ორკვირიან ვადას აძლევს.

როგორც პროფკავშირების თავმჯდომარემ, ირაკლი პეტრიაშვილმა გუშინ, პარლამენტის შენობასთან გამართულ პროფკავშირების საპროტესტო აქციაზე განაცხადა, პარლამენტი არღვევს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის რიგ მუხლებს და დღემდე არ იხილავს იმ ინიციატივებს, რომელიც პროფკავშირებმა 30 ათასი ხელმოწერით წარუდგინეს.

მისივე განმარტებით, ინიციატივები ეხება დედობის უფლებას, განათლების უფლებას, უმუშევრობის შემთხვევაში შემწეობის დაწესებასა და სიცოცხლის უფლებას. "ადამიანებს ყოველგვარი უფლებები ჩამორთმეული აქვთ, მათ მიერ გადახდილი გადასახადებით კი პოლიტიკური პარტიები ხელფასებს იღებენ", - აღნიშნა პეტრიაშვილმა. მისი განცხადებით, თუ პარლამენტი დროულად არ დაიწყებს აღნიშნული ინიციატივების განხილვას, საქართველოს პროფკავშირები მის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავს.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, პროფკავშირების გუშინდელი აქცია 10 დეკემბერს - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს უკავშირდებოდა.


**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მიმართვა თბილისიდან და ვაშინგტონიდან

პირველი გვერდიდან

სააკაშვილს მიაჩნია, რომ **"საქართველო, ისე როგორც არასდროს, ეძებს, სურს და სჭირდება ევროპასთან ინტეგრაცია."** ამის პარალელურად კი მიხეილ სააკაშვილი არც იმის წინააღმდეგია, რომ რუსეთთან საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა გაიხსნას.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ევროპისა და აზიის მედიასაშუალებათა ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებულ განცხადების საპასუხოდ, სააკაშვილის პოზიცია გაახმოვანა. ცნობისთვის, მედვედევი თავის ქართველ კოლეგასთან კონტაქტის დამყარებას არ აპირებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს არ არის მიზეზი, რათა გადაიდოს სხვა გადაწყვეტილებები, მათ შორის, საზღვრის გახსნისა და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახლების შესახებ. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების უმეტესობა რუსეთმა ცალმხრივად ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე დააწესა, სავიზო რეჟიმი კი მოსკოვმა 2003 წლამდე შემოიღო. რაც შეეხება ქართულ მხარის მოქმედებებს, პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსული პროდუქცია საქართველოში დღესაც არ არის დაბლოკილი და მას არანაირი ემბარგო არ დამუქრებია. რუსეთის მოქალაქეები და რუსეთის სპეცსამსახურებისგან შორს მდგარი პირები დღესაც გამარტივებული წესით შემოდიან საქართველოში. ასე რომ, პრეზიდენტის განცხადებით, **"თუკი ისინი მიბაძავენ საქართველოს და შეზღუდვები მოიხსნება, საქართველოს ხელისუფლება ამას მხოლოდ მიესალმება."**

### იტალიის საელჩო დევნილ ბავშვებს ეხმარება

იტალიის საელჩო დევნილი ბავშვებისთვის ახალ პროექტს - "არგოს" იწყებს.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის დახმარებით შეიქმნება დევნილი ბავშვების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც იტალიელი ბიზნესმენებისთვის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის.

ბაზის მიხედვით, ნებისმიერ დაინტერესებულ იტალიელს საშუალება ექნება, ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის პროექტები დაგეგმოს და ინვესტიციები განახორციელოს.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მონაცემთა ბაზის შესაქმნელად იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო 20 000 ევროს გამოყოფს.

# ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა შედეგების დათვლას იწყებს

თამარ ივანიძე

*გაჭიანურებული და გაძვირებული სამუშაოები სამცხე-ჯავახეთის გზებზე; ფორსმაჟორი, რომელშიც ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა კერძო კონტრაქტორის გამო აღმოჩნდა; ამ სიტუაციიდან ზარალის გარეშე გამოსული კონტრაქტორი და სახელმწიფოსთვის 25 მილიონით გაძვირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები; ტენდერის გამოუცხადებლად შერჩეული კომპანია 35 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოების შესასრულებლად; თითქმის დასრულებული კონკურსები აგრობიზნესის მხარდაჭერის პროექტში და აშკარა წარმატება ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში - ასეთია იმ მიგნებების მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ათასწლეულის გამოწვევის პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებში წარმოადგინა.*

მონიტორინგის შედეგებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი პროექტის დამფინანსებელ - "ღია საზოგადოება-საქართველოსთან" ერთად საზოგადოებას დღეს წარუდგენს. ანგარიში 2008 წლის 1 ოქტომბრიდან - 2009 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს და მასში შესულია 2008 წლის ოქტომბრის ბრიუსელის კონფერენციის შედეგად ათასწლეულის გამოწვევის პროექტისთვის გამოყოფილი დამატებითი 100 მილიონი აშშ დოლარის ხარჯვის ანალიზიც. ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა საერთაშორისო დახმარებით განხორციელებული ასეთი მასშტაბის პირველი პროგრამაა და, შესაბამისად, ამ პროგრამის შესრულების დროს აღმოჩენილი დარღვევები თუ მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული პროგრამის ეფექტურობის შეფასებისთვის, არამედ მომავალში საქართველოსადმი, როგორც პარტნიორისადმი ნდობის ხარისხის განსაზღვრისთვის. საგულისხმოა ისიც, რომ პროგრამის განხორციელების პირველმა ეტაპმა (პროგრამა ძალაში შევიდა 2006 წლის 7 აპრილს) აჩვენა, რომ ქვეყანას ამ ტიპის საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად არც გამოცდილება ჰქონდა და არც სერიოზული შეცდომებისგან იყო დაზღვეული. შესაბამისად - 2008 წლის 1 ოქტომბრამდე, როცა დღეს წარმოდგენილი ანგარიშის მონიტორინგის პერიოდი იწყება, პროექტი უკვე ვადებდარღვეული, გაძვირებული, პრობლემებით დატვირთული და მენეჯმენტშეცვლილი მივიდა.

უკვე 2009 წლის ოქტომბრისთვის ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის დიზაინი შემდეგ სახეს იძენს:

1. **სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი - 203 მილიონ 515 ათასი აშშ დოლარი** (პროექტის ფარგლებში, გაფორმებული კონტრაქტების მიხედვით, ხდება 219,2 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია);

2. **ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 49, 5 მილიონი აშშ დოლარი** (პროექტის ფარგლებში ხორციელდება მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია, გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და წინა-სამშენებლო პროექტირება-ფინანსური გეგმის შემუშავება).

3. **რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება - 57, 735 მილიონი აშშ დოლარი** (პროექტის ფარგლებში ხორციელდება 5 წყალმომარაგების პროექტი - წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბლიტაცია, 2 პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, ერთი სამშენებლო პროექტის მომზადება).

**საწარმოთა განვითარების კომპონენტი კი შეიცავს შემდეგ პროექტებს:**

1. **საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი -** 32 მილიონი აშშ დოლარი;

2. **აგრობიზნესის განვითარება - 20 მილიონ 200 ათასი აშშ დოლარი** (2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით - 15 მილიონი);

2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელებულმა მონიტორინგმა კი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, შემდეგი ძირითადი პრობლემები თუ მიღწევები გამოკვეთა:

1. ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მთავარ პრობლემად რჩება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. პროექტის შესრულებაში წარმოქმნილმა პრობლემებმა გამოიწვია ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მთლიანი დიზაინის ცვლილება და ამ წლებში დამატებით მობილიზებული თანხის უდიდესი მოცულობის მიმართვა აღნიშნული პროექტისკენ, კერძოდ: **2009 წლის 1 ოქტომბრისთვის 2008 წლის ნოემბერში პროგრამისთვის გამოყოფილი დამატებითი 100 მილიონის უმეტესი ნაწილი - 80 მილიონი აშშ დოლარი სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტისკენ მიემართება და მხოლოდ 20 მილიონი ანუ დამატებითი დაფინანსების 20 პროცენტი მიემართება დანარჩენ 4 პროექტზე** (ეს მაშინ, როცა 2008 წლის ნოემბერში დამატებითი დაფინანსებიდან გზების პროექტზე გათვალისწინებული იყო 60 მილიონი აშშ დოლარის და არა - 80 მილიონი აშშ დოლარის მიმართვა).

2. **ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის პრობლემად რჩება ხშირი ცვლილებები პროექტების დაფინანსებაში.** მაგალითად, 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე ორჯერ შევიდა ცვლილება ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში (ჯერ დაემატა, შემდეგ კი მოაკლდა 13 მილიონი); სამჯერ შევიდა ცვლილება რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტში (დაემატა 26 მილიონი, შემდეგ კი ორგზის შემცირდა დაფინანსება); ორჯერ შევიდა ცვლილება აგრობიზნესის განვითარების პროექტში (ზრდის მიმართულებით). ცხადია, ამ სიტუაციაში ძნელია დაგეგმვის კანონზომიერებებზე, წინასწარი შეფასებების სიზუსტეზე საუბარი.

3. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის 203 მილიონ 515 ათას აშშ დოლარამდე გაზრდის ანუ კომპაქტში თავდაპირველად გათვალისწინებული დაფინანსების გაორმაგების მიუხედავად (კომპაქტის ხელმოწერის მომენტისთვის პროექტზე 102 მილიონი აშშ დოლარი იყო გამოყოფილი) პროექტის ფარგლებში ველარ ხერხდება კომპაქტის თავდაპირველი ვარიანტით გათვალისწინებული გზის მოცულობის - 245 კილომეტრის რეაბილიტაცია. **სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში სარეაბილიტაციო გზა, უკვე გაფორმებული კონტრაქტების მიხედვით, 2009 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სულ 219,2 კილომეტრია - კომპაქტით თავიდანვე გათვალისწინებულზე, დაახლოებით, 26 კილომეტრით ნაკლები ანუ, დაახლოებით, 10 პროცენტით ნაკლებია.**

4. მონიტორინგის პერიოდში კონტრაქტორი კომპანიის "აშტრომ ინთერნეიშენელის" მიერ გზის სამუშაოების გაჭიანურების მიზეზით, შეიქმნა ფორსმაჟორული სიტუაცია. ემ-სი-ჯის მიერ ამ სიტუაციაზე რეაგირების საბოლოო შედეგი იყო სამუშაოების ტემპის დაჩქარება (გზის ნაწილის სხვა კომპანიისთვის გადაცემა). თუმცა, საბოლოო შედეგია ისიც, რომ 2008 წლის გაზაფხულიდან 2009 წლის აგვისტომდე (ანუ, დაახლოებით, წელიწადნახევრის განმავლობაში) პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამი ლოტის - **119,5 კილომეტრი გზის რეაბლიტაცია გაძვირდა, დაახლოებით, 24,389 მილიონი აშშ დოლარით (ანუ 2008 წლის გაზაფხულის მდგომარეობასთან შედარებით 37 პროცენტით**).

5. **ფორსმაჟორული სიტუაციის მიზეზით 35 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი 47,8 კილომეტრის რეაბლიტაციაზე კომპანია "აზერინშაათსერვისს" გადაეცა ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით**. ცხადია, ამ თანხის კონტრაქტის ტენდერის გარეშე ანუ მშენებელი კომპანიის კონკურენციის პირობებში ჩაყენების გარეშე გაცემა, რა თქმა უნდა, ბადებს კითხვებს და მოითხოვს სერიოზულ დასაბუთებას.

6. **კონტრაქტორ კომპანიას, რომლის მიზეზითაც მოხდა ფორსმაჟორული სიტუაციის შექმნა, საჯარიმო სანქციები არ დაკისრებია.** მეტიც - იგი მომგებიან სიტუაციაშიც კი აღმოჩნდა - მოიხსნა რა 47,8-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის ვალდებულება, კონტრაქტის ღირებულება კი მხოლოდ 20 მილიონი აშშ დოლარით შეუმცირდა.

7. **2009 წლის ოქტომბრისთვის შექმნილი ვითარების მიხედვით, კვლავ შეინიშნება სამცხე-ჯავახეთის სარებილიტაციო გზის რამდენიმე მონაკვეთზე სამუშაოების არასაკმარისი ტემპით განხორციელების საფრთხე,** რამაც, შესაძლოა, პროექტი არა მხოლოდ გააძვიროს, არამედ ეჭვქვეშ დააყენოს მისი შესრულება კომპაქტით გათვალისწინებულ ვადებში.

8. მონიტორინგის პერიოდში რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს დაფინანსება გაეზარდა 43 მილიონიდან 57 მილიონამდე, მიუხედავად ამისა, **2008 წლის ოქტომბერთან შედარებით განსახორციელებელ პროექტთა ნუსხა არ გაზრდილა, შეიცვალა მხოლოდ პროექტების შიდა მოდიფიკაციები. კვლავ პრობლემად რჩება თანხების ათვისების დაბალი ტემპი,** რაც საფრთხეს უქმნის პროექტების დროულად და ეფექტურად განხორციელებას.

9. მონიტორინგის პერიოდში ენერგოინფრასტრუქტურის პროექტის დაფინანსება ჯერ გაიზარდა 13 მილიონი აშშ დოლარით. აღნიშნული თანხა, კომპაქტის პირველი შესწორების თანახმად, პროექტის შედარებით ახალი კომპონენტის - გაზსაცავის წინასაპროექტო შესწავლას უნდა მოხმარებოდა, თუმცა შემდეგ ეს თანხა პროექტს ჩამოეჭრა. **მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპაქტით გათვალისწინებული აქტივობები არსებული ბიუჯეტის ფარგლებში დასრულდება; მეტიც - გათვალისწინებულია დამატებით გაზსადენის რეაბილიტაციის მეოთხე ფაზის განხორციელება, რაც უდავოდ დადებითი ფაქტია. თუმცა, აქვე გამოდის, რომ 13 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც დამატებითი სამუშაოებისთვის იყო გამიზნული და გამოყოფილი 2008 წლის ნოემბერში, პროექტს არ ესაჭიროებოდა.**

10. აგრობიზნესის განვითარების პროექტის დაფინანსება მონიტორინგის პერიოდში გაიზარდა 15 მილიონი აშშ დოლარიდან - 20 მილიონ 200 ათას აშშ დოლარამდე;

**მონიტორინგის პერიოდში პროექტის განხორციელების ტემპი გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტოდ არის დაჩქარებული - 2008 წლის 30 ოქტომბრიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე სულ ჩატარებულია საგრანტო შერჩევის ორი რაუნდი. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 133 გრანტი, 7 მილიონ 394 ათასის ღირებულებით. ანუ თითქმის ორჯერ მეტი თანხაა ათვისებული გასული ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ეს პროექტის დაწყებიდან პირველი 3 წლის მანძილზე იყო.**

11. რეგიონული განვითარების ფონდის შემთხვევაში, ისევე როგორც აგრობიზნესის განვითარების პროექტში, მონიტორინგის პერიოდში დაჩქარებული ტემპით მოხდა თანხების ათვისება; **2009 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდმა მოახდინა 21 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება 10 ქართულ კომპანიაში, რაც ინვესტირებისთვის ასათვისებელი თანხის, დაახლოებით, 84 პროცენტს შეადგენს.**

12. **ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის პრობლემად რჩება თანხების ათვისების დაბალი ტემპი, რამაც გამოიწვია როგორც პროექტების გაძვირება, ასევე - ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს პროექტების დროულად და სრულად დასრულებას.** მეოთხე პროგრამული წლის მეორე კვარტლიდან იკვეთება თანხების ათვისების ტემპის დაჩქარების ტენდენცია. თუმცა, სამცხე-ჯავახეთისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტების შემთხვევებში, ეს ტენდენცია პროექტების სრულად დასრულების საფრთხეს ვერ ანეიტრალებს.

13. **ასევე, მთლიანობაში, შესამჩნევია დიდი ჩამორჩენა ფინანსურ გეგმასთან შედარებით: მეოთხე პროგრამული წლის მეორე კვარტლისთვის მთლიანი თანხის მხოლოდ 36.4 პროცენტის ათვისება არის დაგეგმილი.**

## თბილისში "ელვის ამერიკან დაინერი" იხსნება

დღეს თბილისში უახლესი ამერიკული რესტორანი "ელვის ამერიკან დაინერი" ოფიციალურად გაიხსნება. საქართველოში კიდევ ერთი ამერიკული ბრენდის პრეზენტაცია ორ ნაწილად იგეგმება - 14:00 საათზე გაიმართება მიღება დედაქალაქის მერიის, ეკონომიკური განვითარებისა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების წარმომადგენლებისა და სხვა ოფიციალური პირებისთვის; 18:00 საათზე პრეზენტაციაზე მიწვეული იქნებიან ბიზნესწრეების წარმომადგენლები. სტუმრებს საშუალება ექნებათ, დააგემოვნონ რესტორნის მრავალფეროვანი მენიუს კერძები. ელვის პრესლის ფოტოებითა და სხვა შესაბამისი დიზაინერული ატრიბუტიკით გაფორმებულ სწრაფი სერვისის რესტორანში თბილისის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, მიირთვას სპეციალური ამერიკული "ელვის ბურგერები" და "ჰოთდოგები". მენიუშია იტალიური და აზიური სამზარეულოს კერძები, უგემრიელესი ტკბილეული (ნაყინი, ნამცხვრები, კროასანები და ა.შ.). "ელვის ამერიკან დაინერი" საუკეთესო საშუალებაა სწრაფი "ლანჩის" და სადილისთვის ოჯახთან ერთად. "ელვის ამერიკან დაინერი" წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ქსელის ბრენდს, რომელიც აშშ-ში 1950-იან წლებში დაარსდა. დღეისთვის რესტორნების ქსელი ფართოდ გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში.

როგორც რესტორნის მესვეურები აცხადებენ, შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე შეირჩა მისი ადგილმდებარეობაც - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ტერიტორია. განახლებულ ფილარმონიაში გახსნილი ახალი რესტორანი - "ელვის ამერიკან დაინერი" არის ამერიკიდან საქართველოში განხორციელებული კიდევ ერთი დიდი ინვესტიცია, რომელიც დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის. **ინტერპრესნიუსი**

## სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე დღეს 15 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ეროვნული ბანკის 91-დღიან N50, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე დღეს 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ფასიანი ქაღალდები ერთმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 3.04 პროცენტით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

## წყალტუბოს მღვიმეში ხვალ განათების პრეზენტაცია მოეწყობა

წყალტუბოს მღვიმის ტურისტული განვითარების პროექტი დასრულების ფაზაში შედის.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან აცნობეს, სამშენებლო და გასამაგრებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე კი გერმანელი სპეციალისტები მღვიმის განათებაზე მუშაობენ. განათების პრეზენტაცია მღვიმეში ხვალ გაიმართება. პრეზენტაციას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაალ აბაზაძე, წყალტუბოს მღვიმის პროექტის კოორდინატორი თეიმურაზ ჩოჩუა და გერმანელი სპეციალისტები დაესწრებიან.

წყალტუბოს მღვიმის ტურისტული განვითარების პროექტი ტურიზმის დეპარტამენტმა მოამზადა. პროექტის განხორციელება 2007 წლის დეკემბერში დაიწყო და 2010 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

მღვიმის მარშრუტის სიგრძე 1,5კმ-ია. იქ წელიწადში 310 000 ვიზიტორის სტუმრობაა შესაძლებელი. წყალტუბოს მღვიმე 4 ძირითადი დარბაზისაგან, მათი დამაკავშირებელი დერეფნებისა და ტბისაგან შედგება.

მღვიმის ტერიტორიაზე დიდი ტურისტული კომპლექსი მოეწყობა, რომლის გარშემო მატარებელი იმოძრავებს. **ინტერპრესნიუსი**

## ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6736 ლარის ნიშნულზე დაეცა

ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6736 ლარის ნიშნულზე დაეცა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, შესაბამისად ხვალ ძალაში შევა ოფიციალური გაცვლითი კურსი - 1 აშშ დოლარი/1.6736 ლარი.

დღევანდელი ოფიციალური კურსით კი 1 აშშ დოლარი 1.6734 ლარი ღირდა. **ინტერპრესნიუსი**

# დენ ბერკშაია: "ქვეყნის ეკონომიკას ბიზნესი აშენებს"

ნინო ნარჩემაშვილი



საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსმა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია გახლავთ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი დონის ექსპერტებს აერთიანებს, საქართველოში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოთხწლიანი "მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი" განახორციელა. ათმილიონიანი ბიუჯეტის მქონე პროექტის მიზანი იყო სხვადასხვა სახის დახმარების, ღონისძიებების, სამუშაო სემინარების და ტექნიკური დახმარების საშუალებით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ასევე, ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის დიალოგის წარმოების უზრუნველყოფა, რაც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების ერთობლივი აღმოფხვრისათვის არის აუცილებელი.

პროექტმა მუშაობა დაასრულა და სახეზეა შედეგები, რომლებიც ნამდვილად შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს.

პროექტის ხელმძღვანელი დენ ბერკშაია აღნიშნავს, რომ **"მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა" საქართველოს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით, კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის წარმართვას შეუწყო ხელი. პროექტის მიზანი იყო საქართველოსთვის დახმარების გაწევა, ბიზნესის გაძლიერება და საერთაშორისო ბაზარზე თავისი ადგილის დამკვიდრებაში ხელშეწყობა. ბიზნესის განვითარებისათვის ნებისმიერ ქვეყანაში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მთავრობის დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ - ვგულისხმობ მცირე და საშუალო ბიზნესს. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში მთავრობა ყველაფერს აკეთებს მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად, რადგან მან იცის, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა - ქვეყნის ეკონომიკას ბიზნესი აშენებს."**

მიზანი, რა თქმა უნდა, საუკეთესოა, ამავე დროს, ამბიციურიც, პროექტის შედეგები - საკმაოდ შთამბეჭდავი:

დაარსდა საქართველოს საბანკო ტრენინგ-ცენტრი, სადაც ტრენინგი 225 პროფესიონალმა გაიარა. "ბანკი რესპუბლიკის" 3 მილიონი დოლარის საკრედიტო პორტფელის გარანტიის მონიტორინგი დაკრედიტების განვითარების პროგრამის ფარგლებში: გაცემულია 24 სესხი. დაკრედიტების განვითარების პროგრამის პორტაბელური საკრედიტო გარანტია გაცემულია Constanta Foundation-ისთვის, რომლითაც მან მიიღო 1.5 მილიონი აშშ დოლარი რევოლვირებადი სესხი ოიკოკრედიტისაგან, რომელიც გამიზნულია სესხების გაცემაზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. გაცემულია 578 სესხი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ანგარიშგების მოთხოვნების გამარტივებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეიცავდა იმ მოთხოვნის ანულირებას, რომელიც გულისხმობდა კომერციული ბანკების 40 ყველაზე მსხვილი დეპოზიტის მფლობელის სახელების და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად ამცირებს კომერციული ბანკების ადმინისტრაციულ ტვირთს. გარდა ამისა, ამ რეკომენდაციების შედეგად საანგარიშგებო ფორმების რაოდენობა თორმეტიდან ხუთამდე შემცირდა.

პროექტმა დახმარება გასწია მიკროსაფინანსო ინსტიტუტების შესახებ კანონის შემუშავებასა და მიღებაში, ხელი შეუწყო 10 მიკროსაფინანსო ინსტიტუტის გაერთიანებას და თანამშრომლობას საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციაში. ტრენინგი ჩაუტარდა 629 მსესხებელს ბანკებთან ურთიერთობის სფეროში და 257 საკრედიტო ოფიცერს - სხვადასხვა საკითხზე. დახმარება მუდმივად მიეწოდება ექვს ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციას (ბიზნესსაკონსულტანციო ქსელი-საქართველო). ექვსმა ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციამ მომსახურება გაუწია 4.247 კლიენტს; 32 საშუალო და მცირე ბიზნესმა მიიღო 1,270,214 აშშ დოლარის ოდენობის სესხი; დახმარება გაეწია უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას გორის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებაში, მშენებლობის მენეჯმენტსა და სასტუმროს-რესტორნის მენეჯმენტის სფეროში; შემუშავებული იქნა 24 სასწავლო წიგნი და 40 კურსი 210 სტუდენტისათვის; ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაეწია მიწის მესაკუთრეთა ასოციაციას პროფესიული სერტიფიცირების ორი პროგრამის შექმნაში უძრავი ქონების ამზომველების და შემფასებლებისათვის. ტრენინგი გაიარა 70 ადამიანმა.

ჩამოყალიბდა ექვსი ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებულია ბიზნესსაკონსულტაციო ქსელ საქართველოში. მომსახურება გაეწია 4,247 კლიენტს, ტრენინგი ჩაუტარდა 4,674 ადამიანს და შეიქმნა 707 სამუშაო ადგილი; დახმარება გაეწია სამეგრელო-ზემო სვანეთის სავაჭრო პალატას და კახეთის სავაჭრო პალატას, საქართველოს მთავრობას ღვინის ტურიზმის ბაზრის კვლევის ჩატარებაში; ჩამოყალიბდა ბიზნესინკუბატორი სიღნაღში, რომელიც მოემსახურა 10.000 ტურისტს, ხოლო შემოსავლები 70 პროცენტით გაიზარდა; დახმარება გაეწია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ტურისტული ადგილების შეფასების პროექტის განხორციელებაში. დახმარება გაეწია სვანეთში ტურიზმზე ორიენტირებული მცირე ზომის ბიზნესინკუბატორის შექმნას; განახორციელა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები აბასთუმანსა და სვანეთში. აბასთუმანში პროექტმა ფინანსური და ტექნიკური დამარება გაუწია ორ სასტუმროს, ორ კაფეს და ადგილობრივ ტურისტულ ასოციაციას. გარდა ამისა, ხელი შეუწყო ასტროტურიზმის განვითარებას აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ასტრონომიული მუზეუმის, ობსერვატორიის ტურების, სუვენირების და ასტრონომიული საზაფხულო სკოლის შექმნით. სვანეთში პროექტმა ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწია ორ სასტუმროს, ერთ საოჯახო სასტუმროს, ორ კაფეს, ერთ ინტერნეტკაფეს, ველოსიპედების გაქირავების ცენტრს, ტურიზმის ადგილობრივ ასოციაციას, ადგილობრივ ისტორიულ მუზეუმსა და ბენზინგასამართ სადგურს.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა წამოიწყო ინიციატივა, რომელიც გულისხმობს სასტუმროებისა და მცირე ზომის სასტუმრო სახლების რეგისტრაციას დაჯავშნის საერთაშორისო სისტემაში: აღნიშნულ სისტემაში 39 ქართული სასტუმრო და მცირე ზომის სასტუმრო გაერთიანდა, რამაც მეტი ტურისტი მოიზიდა საქართველოში.

პროექტმა დახმარება გასწია გორში დევნილი ქალებისათვის ბიზნესინკუბატორის შექმნაში, სადაც მათ გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა პროფესიის ათვისების მიზნით და მიეცათ საოფისე ფართის დაბალ ფასად მიღების საშუალება. ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში ინკუბატორში ტრენინგი ჩაუტარდა 300-ზე მეტ დევნილ ქალს, საოფისე ფართით ისარგებლა 5 მიკრობიზნესმა და სამუშაოს ძიებაში დახმარება გაეწია დახლოებით 100 ქალს; პროექტმა ფინანსური დახმარება გასწია ოთხი ბიზნესის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირების დაწყებაში წეროვანის დასახლებაში - შეიქმნა პურის საცხობი, ფრინველის ფერმა, მოსაპირკეთებელი მასალის დამამზადებელი მცირე საწარმო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრი, რაც, დასაქმებასთან ერთად, იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალებას მისცემს, პირველადი მომსახურებით და კვების პროდუქტებით ისარგებლონ.

# საქართველოს ენერგეტიკა თურქულ ინვესტიციას ელოდება

სოფო ჩიხლაძე

თურქი ბიზნესმენები საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალით და, შესაბამისად, საქართველოში ჰესების მშენებლობით დაინტერესდნენ. ამის შესახებ განცხადება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმის დაწყების წინ გააკეთა, რომელიც გუშინ სასტუმრო "რედისონში" გახსნა.

ბიზნესფორუმი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა, რომელშიც ქართული და თურქული ენერგეტიკული კომპანიების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა ფორუმის მონაწილეებს საქართველოს ჰიდროპოტენციალი და ის პროექტები გააცნეს, რომელთა განხორციელებაც აქ პერსპექტიულია.

ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, ქართულ ენერგეტიკაში თურქი ბიზნესმენები ინვესტიციის ჩადებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც საქართველომ თურქეთთან ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო. **"თურქეთში ელექტროენერგიის დეფიციტია და, შესაბამისად, ტარიფები საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც საქართველოში ჭარბი ელექტრორესურსებია... თურქი ბიზნესმენები დაინტერესებულნი არიან, საქართველოში ჰესები ააშენონ, გამომუშავებული ელექტროენერგია კი ზამთარში საქართველოს ბაზარზე გაყიდონ, ხოლო ზაფხულში - თურქეთში,"** - აცხადებს ალექსანდრე ხეთაგური.

დღეისათვის საქართველოში ელექტროსადგურების 85% ჰიდროელექტრო, ხოლო 15% თბოელექტროსადგურებია. საქართველოს მთავრობა გეგმავს, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის 100% ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშაოს. ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, საქართველოში ჰესების აშენება და ელექტროენერგიის ზამთარში - ადგილზე, ზაფხულში კი ქვეყნის გარეთ გაყიდვა საქართველოს საშუალებას მისცემს, თბოელექტროსადგურები ჰიდროელექტროსადგურებით ჩაანაცვლოს, რაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიაა.

ქართულ-თურქული ბიზნესფორუმის მონაწილეებს გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მიმართა. პრემიერის განცხადებით, საქართველოს მთავრობისათვის ენერგეტიკის სფერო ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობისაა და მოუწოდა თურქ ბიზნესმენებს, განახორციელონ ინვესტიციები ენერგეტიკის სფეროში.

გილაურის თქმით, ყველა თურქ ბიზნესმენს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკაში ინვესტიციების ჩადებას გადაწყვეტს, საქართველოს ხელისუფლებისაგან სრული პოლიტიკური მხარდაჭერა ექნება. **"თურქმა ბიზნესმენებმა, რომლებიც საქართველოს ენერგეტიკაში ინვესტიციებს განახორციელებენ, მხოლოდ ერთი პირობა უნდა შეასრულონ - ზამთრის პერიოდში ჰესების საშუალებით გამომუშავებული ენერგია საქართველოში უნდა გაიყიდოს. ნებისმიერი დოლარი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკაში ჩაიდება, ბევრად მომგებიანია, ვიდრე ამ სფეროში სხვა ქვეყნებში ჩადებული ინვესტიცია, რადგან საქართველოს დიდი ჰიდროპოტენციალი გააჩნია. ჩვენ, ხელისუფლება, ვიძლევით პირობას, რომ ყველა ინვესტორს ექნება სრული პოლიტიკური მხარდაჭერა და ასევე ვიძლევით იმის გარანტიას, რომ საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგია შეუფერხებლად წავა ექსპორტზე თურქეთში გადამცემი ხაზების მეშვეობით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ სრული მხარდაჭერა იქნება დაფინანსების კუთხითაც, რადგან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები საქართველოში ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ,"** - განაცხდა ნიკა გილაურმა.

საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმს 25-მდე თურქული და ასევე რამდენიმე ათეული ქართული ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თურქი ბიზნესმენები აცხადებენ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სფეროში დაახლოებით მილიარდ-ნახევარი დოლარის ინვესტიციას გეგმავენ. **"თურქი ბიზნესმენები საქართველოში მილიარდ-ნახევარ დოლარამდე ინვესტიციის განხორციელებას ვგეგმავთ. ქართულ-თურქული ბიზნესფორუმის ფარგლებში ამ**

**საკითხებზე ვიმსჯელეთ,"** - ამბობს თურქი ბიზნესმენი ჰაკან მომსეკი.

# „გაერთიანებული ტელეკომის" მომხმარებელი დავალიანებას ალტერნატიული საშუალებებით ფარავს

## თბილისსა და რეგიონებში სააბონენტო ბაზა კომერციულ ბანკებსა და ტერმინალებში ჩაიტვირთა

*ახალი წლიდან "გაერთიანებული ტელეკომი" აბონენტთა მომსახურების სფეროში მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას იწყებს. ამჟამად, კომპანია ყველა სახეობის სატელეკომუნიკაციო სერვისს თავაზობს მომხმარებლებს: ფიქსირებული სატელეფონო კავშირი და ინტერნეტ მომსახურება, უკაბელო სერვისები და ინტერნეტ-ტელევიზია. ამ პროდუქტების ეფექტურობის გაზრდისათვის "გაერთიანებულ ტელეკომში" მიმდინარეობს სერვისების დახვეწა. სხვადასხვა ინოვაციებზე განმარტება ვთხოვეთ კომპანიის მომსახურების ხარისხის მართვისა და მედია კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ალექსანდრა ჩიქავას.*




**- თქვენი სერვისები უფრო კომფორტული და მიმზიდველი ხდება. კონკრეტულად რა სიახლეებს თავაზობთ მომხმარებლებს?**

- ინოვაციები სწორედ აბონენტების მომსახურების მიმართულებით იგეგმება. მნიშვნელოვანია, რომ სრულიად გამარტივდა გადახდების სისტემა. აბონენტს არ აქვს იმის აუცილებლობა, რომ სერვის-ცენტრს მიაკითხოს და იქ დაფაროს დავალიანება. ანგარიშსწორების წარმოება შესაძლებელია კომერციული ბანკების მეშვეობით, სწრაფი გადახდის აპარატებით (ტერმინალები) და ინტერნეტით, ონლაინ რეჟიმში.

**- ეს მარტო თბილისს ეხება თუ რეგიონებზეც ვრცელდება?**

- კომპანიის მიზანია, თანაბრად განავითაროს ყველა ფილიალი და თანაბარ პირობებში მოაქციოს როგორც თბილისელი, ისე რეგიონში მცხოვრები მოქალაქე. ამჟამად 7 დიდ ქალაქშია შესაძლებელი ბანკის მეშვეობით სატელეფონო დავალიანების დაფარვა. საქართველოს ბანკის, სახალხო ბანკის, თიბისი ბანკისა და ტაოპრივატ ბანკის მეშვეობით ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მაცხოვრებლები ახდენენ ანგარიშსწორებას ჩვენს კომპანიასთან. ეს გაცილებით მოსახერხებელია. დროის დაზოგვის მიზნით ბევრი ჩვენი აბონენტი დავალიანებას ტერმინალებით (თიბისი ფეი; ნოვა, osmp) ფარავს. ამიტომაც იგეგმება 2010 წელს ეტაპობრივად გადახდის საბანკო სისტემაში საქართველოს სხვა ქალაქების ჩართვაც.

**- რაც შეეხება თბილისს...**

- თბილისსა და რუსთავში გაცილებით მეტი კომერციული ბანკი ემსახურება მომხმარებლებს: საქართველოს ბანკი, თიბისი, ტაოპრივატბანკი, ვითიბი, ბითიეი, კორსტანდარტ ბანკი, სახალხო ბანკი და თბილბიზნესბანკი. ახალი წლიდან მათ რიცხვს მიემატება დანარჩენი ბანკები. მიმდინარე წელს "გაერთიანებული ტელეკომის" 60 ათასი მომხმარებლისთვის ბანკისა და ტერმინალით დავალიანების დაფარვა უფრო მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე კომპანიის სერვის ცენტრში.

**- შესაძლებელია თუ არა რეგიონის აბონენტმა თბილისში დაფაროს სატელეფონო დავალიანება?**

- კომპანიაში დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა გადახდა კომერციულ ბანკებსა და ტერმინალებით აამოქმედოს. თუ რეგიონის აბონენტი დედაქალაქში იმყოფება, შეუძლია ტერმინალის ან ბანკის მეშვეობით დაფაროს დავალიანება. სწრაფი გადახდის აპარატებში ჩატვირთულია ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, რუსთავის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის საააბონენტო ბაზა. სასურველი ქალაქის მითითებით, აბონენტი აკრიფავს სატელეფონო ნომერს და აპარატი გაუხსნის ინფორმაციას დავალიანების ოდენობის შესახებ, რის მიხედვითაც ის მოახდენს ანგარიშსწორებას.

**- ამ მომსახურებაზე რა ოდენობის საკომისიოა დაწესებული?**

- მნიშვნელოვანია, რომ სხვა კომუნალური გადასახადებისგან განსხვავებით, "გაერთიანებული ტელეკომის" დავალიანების დაფარვა ბანკებსა და ტერმინალებში საკომისიოს გარეშე ხდება.

**- სერვის ცენტრებში მისვლის აუცილებლობა რომ აღარ აქვს აბონენტს, მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენი კომპანიის მომხმარებელს ხშირად აინტერესებს დეტალური ინფორმაცია, ამ მხრივ რა ალტერნატივებს თავაზობთ?**

- წელს დავიწყეთ აბონენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება, რაც უპრეცენდენტო ნაბიჯია კომუნალურ სფეროში. ხელშეკრულების გარდა, აბონენტებს ენიჭებათ პაროლი, რომლის გამოყენებით შეეძლებათ ცხელი ხაზის (100-100) მეშვეობით მიიღონ დეტალური ინფორმაცია, სახლიდან გაუსვლელად მართონ სერვისები, გააქტიურონ და გააუქმონ რაიმე მომსახურება. მაგალითად გამორთონ 8-იანი კოდი, დროებით შეაჩერონ ინტერნეტ-სერვისი ან მიიღონ დეტალური ინფორმაცია დარეკილ ზარებზე. აქამდე ამისათვის სერვის-ცენტრში მისვლა იყო საჭირო. კომპანიის საიტზე www.utg.ge არსებობს ანგარიშთა მართვის ველი - "ჩემი ანგარიში". მინიჭებული პაროლისა და პირადი მეილის მითითებით აბონენტი მიიღებს ელექტრონულ ფოსტაზე დეტალურ ინფორმაციას დარეკილ ზარებზე, დავალიანების ოდენობაზე. ასევე, წელს ცხელი ხაზი 100-100 ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ამუშავდა, რაც მომხამრებელს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს ჩვენს ოპერატორებს.

**- ახალი წლიდან რუსთაველის გამზირზე კომპანია განსხვავებულ სერვის ცენტრს აამოქმედებს. რა უპირატესობა ექნება მას?**

- რუსთაველის გამზირზე, ყველაზე კოლორიტულ შენობაში, რომელსაც თბილისელები "მელიქ-აზარიანცის" სახლის სახელწოდებით იცნობენ, კომპანიის სერვის ცენტრი ამოქმედდება. ცენტრი უფრო კომფორტული და კეთილმოწყობილი იქნება თავისი სადემონსტრაციო დარბაზით, სადაც "გაერთიანებული ტელეკომისა" და "ნოვუს ჯგუფის" ერთობლივი პროექტის - ინტერნეტ პროტოკოლზე დაფუძნებული საკაბელო ტელევიზიის "ნოვუს თივის" პრეზენტაციას შევძლებთ. დაინტერესებული მომხმარებელი ადგილზე გაეცნობა ამ პროდუქტის უპირატესობას, არხების ჩამონათვალს და გაუადვილდება არჩევანის გაკეთება. ამავე დროს ფუნქციონირებას გააგრძელებს რუსთაველის გამზირზე ე.წ. "ტელეგრაფის" შენობაში განთავსებული ჩვენი სერვის-ცენტრი. დედაქალაქის პერიფერიულ ნაწილში მცხოვრები მომხმარებლებისთვის კი, რომლებსაც ურჩევნიათ გადასახადები სერვის-ცენტრებში დაფარონ, ჩვენი მომსახურების ცენტრები კვლავ გააგრძელებენ მუშაობას- ჰიპერმარკეტში "გუდვილი", გლდანში ქერჩის ქუჩაზე და ისანში შირაქის ქუჩაზე. ასევე მცხეთაში აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სერვის-ცენტრი მოემსახურება კომპანიის აბონენტებს.

## დასავლეთ საქართველოში მოქმედი ასზე მეტი ადვოკატი ახალ გაერთიანებაში წევრიანდება

დასავლეთ საქართველოში მოქმედი ადვოკატები შაბათს ქუთაისში იკრიბებიან. ასზე მეტი ადვოკატი იმერეთის, გურიის სამეგრელოს და აჭარის რეგიონიდან ადვოკატთა ახალ გაერთიანებას უერთდება. ადვოკატები ქუთაისში სასტუმრო "ბაგრატი 1003-ში" მემორანდუმზე ხელმოწერით დაადასტურებენ ახალ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

ქუთაისში შეკრებილ ადვოკატებს მემორანდუმს გააცნობენ ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" დამფუძნებლები დავით ასათიანი, მანანა კობახიძე, დავით ლანჩავა, ზურაბ ტაბიძე და სხვები.

"ადვოკატთა ახალი გაერთიანების შექმნას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ძალიან ბევრი ადვოკატი დაგვიკავშირდა და ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. ქუთაისში იმ მიზნით მივდივართ, რომ ჩვენს კოლეგებს გავაცნოთ ჩვენი ხედვები, პრინციპები და პრიორიტეტები. ძალიან მოხარულები ვართ, რომ ის ადამიანები, რომლებიც რეალურად ეწევიან საადვოკატო საქმიანობს მზად არიან ამ პროფესიის გადასარჩენად ძალ-ღონე არ დაიშურონ. სწორედ მათი ენთუზიაზმი და მონდომება გვაძლევს იმედს, რომ ჩვენი გუნდი შეძლებს ადვოკატთა ასოციაცია აქციოს სტრუქტურად, სადაც მთავარი პრიორიტეტი ადვოკატთა პრესტიჟის ამაღლება, მათი პროფესიული განვითარება, სამართლებრივი სისტემების და კოლეგების პატივისცემა, აპოლიტიკურობა და დამოუკიდებლობა იქნება," - აცხადებს ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მანანა კობახიძე.

ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" რამდენიმე კვირის წინ შეიქმნა ცნობილი ადვოკატების დავით ასათიანის, დიმიტრი გაბუნიას, მანანა კობახიძის, დავით ლანჩავას, როინ მიგრიაულის, რუსუდან პიტავას, ზურაბ ტაბიძის, გიორგი ტურაზაშვილის, ირაკლი ყანდაშვილის და აკაკი ჩარგეიშვილის ინიციატივით. ორგანიზაციის მიზანია, ადვოკატთა კორპუსის გაძლიერება, ადვოკატის, როგორც პროფესიის პრესტიჟის ამაღლება და პროფესიონალ ადვოკატთა კონსოლიდაცია.

*საკუთარი ინფორმაცია*

## არაოფიციალური ინფორმაცია მინისტრის კანდიდატურაზე

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ვაკანტური თანამდებობა, შესაძლოა, კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა დაიკავოს. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, სასჯელაღსრულების მინისტრად, სავარაუდოდ, სწორედ კახეთის გუბერნატორს წარადგენენ. რაც შეეხება სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდიას, რომელიც დიმიტრი შაშკინის შემცვლელად განიხილებოდა, ამავე ინფორმაციით, ზარანდიას მინისტრად დანიშნვის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა და იგი საკუთარი უფლებამოსილების შესრულებას მინისტრის მოადგილის პოსტზე და უდო-ს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე გააგრძელებს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის თანამდებობა მეხუთე დღეა ვაკანტურია. ამ დროისთვის უწყების ხელმძღვანელის მოვალეობას მინისტრის პირველი მოადგილე აკაკი სეფერთელაძე ასრულებს.

*პირველი*

## "ქრისტიან-დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივა

"ქრისტიან-დემოკრატები" მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებს აპროტესტებენ და საკანონმდებლო ინიციატივით გამოდიან. როგორც "ქრისტიან-დემოკარტების" წარმომადგენელი ნიკა ლალიაშვილი განმარტავს, მისი პოლიტიკური ძალის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს პრევენციულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა არ მოხდეს. მომზადებული ინიციატივით, ცვლილება უნდა შევიდეს "საერთო სასამართლოების შესახებ კანონში. **"ჩვენ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი "საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" მოსამართლის საქმიანობაში ზემდგომი პირების ჩარევას და მოსამართლეზე ზეწოლას გამორიცხავს. მოსამართლე განაჩენს გამოიტანს კანონისა და საკუთარი რწმენის საფუძველზე და არა მობილურ ტელეფონზე მიღებული დირექტივებით. ჩვენ მიერ მომზადებული კანონპროექტი უზრუნველყოფს სიმართლისა და სამართლიანობის გამარჯვებას,"** - აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

მისივე განმარტებით, სასამართლო სისტემაში დღემდე დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იმავე სასამართლოს მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქმეების შესაძლო გადაწყვეტის შედეგების გახილვას, რაც, დეპუტატის თქმით, პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც "არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე."

"ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის მიერ საქმის დეტალებით დაინტერესებამ და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებამაც კი, შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს საქმის განხილვის შედეგებზე, რაც მიუღებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში," - აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ომბუდსმენის უხვი და მკაცრი რეკომენდაციები

ხათუნა ჯანგირაშვილი



***"ანგარიში, რომელიც დღეს პარლამენტშია შესული, თვენახევრის განმავლობაში მთლიანად ჩემი და ჩემი თანამშრომლების 24-საათიანი მუშაობის შედეგია. ჩემთვისაც და ჩემი თანამშრომლებისთვისაც შეურაცხმყოფელია, როდესაც ამბობენ, რომ ეს ანგარიში ჩემ მიერ არ არის მომზადებული და წინა ომბუდსმენმა დამიტოვა. მართალია, ფაქტები მართლაც სოზარ სუბარის მიერ არის შესწავლილი, თუმცა ჩემი ომბუდსმენად დანიშვნის პერიოდში ანგარიშის არც ერთი თავი არ იყო მომზადებული,"*** *- ეს განცხადება სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშის წარდგენისას გააკეთა.*

**"გიორგი ტუღუში პროფესიონალია. მისი მოხსენება არასდროს იქნება პოლიტიკურად ანგაჟირებული და მისი რეკომენდაციებიც გასათვალისწინებელი და ყურადსაღები იქნება,"** - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ომბუდსმენის კანდიდატად გიორგი ტუღუშის წარდგენისა და მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნისას.

ახალმა ომბუდსმენმა განაცხადა, რომ მისი რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომავალი წლის ანგარიშში გაჩნდება ჩანაწერი, რომ ქვეყნის სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულდა.

**"მე მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა შემიძლია,"** - განაცხადა გიორგი ტუღუშმა და წინამორბედი ომბუდსმენის მსგავსად, სასამართლო სისტემის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მისამართით მკაცრი რეკომენდაციები უხვად გასცა. ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომას, რომელზეც სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველ ნახევრში გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები მიმოიხილა, მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი ესწრებოდა.

გიორგი ტუღუშმა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, სამართალდამცველები გააკრიტიკა და შსს-ს მოუწოდა, სამართალდამცველებს ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ, როგორ უნდა ხდებოდეს პირის დაკავება. ომბუდსმენმა სამართალდამცველების მხრიდან არაადეკვატური ძალის გამოყენების ფაქტებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ასეთი ფაქტები განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია გახშირებული.

**"მივმართავ როგორც შსს-ს ხელმძღვანელობას, ასევე მთავარ პროკურატურას, რათა მოხდეს მსგავსი ფაქტების შესწავლა და მათზე რეაგირება,"** - განაცხადა სახალხო დამცველმა და მთავარ პროკურატურას მოუწოდა, ყველა იმ საქმის სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება უზრუნველყოს, რომელიც 2009 წლის 9 აპრილს და შემდგომ გამართულ აქციებს უკავშირდება.

**"მონიტორინგისა და ომბუდსმენის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა რამდენიმე ათეული ფაქტი, როდესაც პირები აცხადებდნენ, რომ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა აქციებში აქტიური მონაწილეობის გამო მიაყენეს. ზოგადად აპრილ-ივლისის აქციები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. კანონდარღვევები დაფიქსირდა როგორც მომიტინგეთა მიმართ, ისე მათივე მხრიდან. განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში უხდებოდათ მუშაობა ჟურნალისტებს. სამწუხაროდ, მათი ფიზიკური შეურაცხყოფისა და პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლის ფაქტებიც გამოვლინდა, - როგორც აქციის მონაწილეთა, ისე სამართალდამცველების მხრიდან,"** - განაცხადა ომბუდსმენმა და განსაკუთრებული ყურადღება 6 მაისს, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან განვითარებულ მოვლენებზე გაამახვილა. გიორგი ტუღუშის მტკიცებით, 6 მაისს პოლიციის სამმართველოსთან სამართალდამცველებმა არალეტალური იარაღი უკანონოდ გამოიყენეს.

**"რეზინის ტყვიების გამოყენება მაშინ კანონსაწინააღმდეგო იყო, რადგან არალეტალური იარაღის - რეზინისა და პლასტმასის ტყვიების გამოყენება მხოლოდ 17 ივლისს, კანონში შეტანილი შესაბამისი ცვლილებებისას დაკანონდა,"** - განმარტა სახალხო დამცველმა და ეს საკანონმდებლო ცვლილებაც გააკრიტიკა. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საჭირო იყო შეკრებებისა და მანიფესტაციების ახლებური რეგულირება, 17 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გარკვეულ ნაწილში ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაც და ადამიანის უფლებათა ქარტიასაც.

სახალხო დამცველი ყველა იმ სამართალდამცველის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს, რომლებმაც 2009 წლის 6 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე სახალხო დამცველმა სასამართლო სისტემაში არსებულ დარღვევებზეც გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ სასამართლო სისტემაში გამოიკვეთა ორი სახის დარღვევა. ომბუდსმენი მოითხოვს, დაცვის უფლების განხორციელების საშუალება თანაბრად მიეცეს მხარეებს და მოწმეთა დაკითხვა თანაბარ პირობებში მოხდეს.

სასამართლოში არსებულ დარღვევებზე საუბრისას, გიორგი ტუღუშმა მაგალითად მოიყვანა ხონის რაიონის სასამართლოში მომხდარი ფაქტი, როდესაც 20-ტომიანი საქმის გასაცნობად მოსამართლემ ადვოკატს მხოლოდ 25 წუთი მისცა.

სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევს და ამ მხრივ გარკვეული ქმედებების გატარებას ითხოვს, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს მხრიდან, ასევე კანონმდებლობის დონეზე. ტუღუში ციხეების კატასტროფულ გადატვირთულობაზე, სისტემაში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებსა და პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე საუბრობს და ასევე, პატიმრებისადმი შერჩევით მიდგომას სერიოზულ პრობლემად ასახელებს.

გიორგი ტუღუშის აზრით, უნდა გატარდეს ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე და შედარებით მსუბუქი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ - გატარდეს პოლიტიკა, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის პირს არასაპატიმრო სასჯელი შეეფარდოს. ომბუდსმენის თქმით, პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამაც უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს.

გიორგი ტუღუშისთვის გაუგებარია, ტელევიზორის ქონა პატიმრებისათვის გაუმართლებელ ფუფუნებად რატომ ითვლება.

**"მთელ რიგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ტელევიზორები მხოლოდ იმ პატიმრებს აქვთ, რომლებიც სამეურნეო ნაწილში მსახურობენ. პატიმრებისათვის ტელევიზორების აკრძალვა არ შეიძლება გამართლდეს რაიმე ლეგიტიმური ამოცანის მიღწევის აუცილებლობით. დღევანდელ ვითარებაში ტელევიზორი პატიმრებისათვის ინფორმაციის ერთადერთი წყაროა და ეს აუცილებელია ამ პირების შემდგომი რესოციალიზაციისათვის,"** - ასეთია ახალი სახალხო დამცველის პოზიცია.

ამ და სხვა საკითხებზე საუბარი გიორგი ტუღუშს დაახლოებით ორ კვირაში უფრო ვრცლად და დეტალურად მოუწევს, როდესაც დეპუტატები მის 400-გვერდიან საანგარიშო მოხსენებას სესიაზე მოისმენენ.

წინასწარ ძნელი სათქმელია, რა ფორმით მიიღებს ახალი ომბუდსმენის პირველ მოხსენებას საკანონმდებლო ორგანო - შეიმუშავებს სპეციალურ დადგენილებას რეკომენდაციებისა და შენიშვნების დართვით თუ გაგრძელდება ბოლო წლების ტრადიცია და ისევე, როგორც წინა ომბუდსმენის მოხსენებას, ერთწინადადებიანი დადგენილებით ცნობად მიიღებს.

# საკონსტიტუციო სარჩელი

*საკონსტიტუციო სასამართლოში ბოლო დროს შეტანილ უამრავ სარჩელს გუშინ კიდევ ერთი მიემატა. საკონსტიტუციო სარჩელის ავტორი ამჯერად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა. საიასთან ერთად, მოსარჩელეებს მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი წარმოადგენენ.*

მოსარჩელეები "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმებს მიიჩნევენ სადავოდ და მათ არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ.

**"ეს არის ის ცვლილებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა კანონში 2009 წლის 17 ივლისს შეიტანა. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების ან მანიფესტაციის სხვაგვარად ჩატარება შეუძლებელია. ტრანსპორტის სავალი ნაწილი მხოლოდ იმ დროის განმავლობაში რჩება გადაკეტილი, რომელსაც შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა მოითხოვს,"** - აცხადებენ სარჩელის ავტორები და გარდა კანონის ამ ნორმისა, საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის სიტყვებს - "სხვა ამგვარი ქმედება" - ასაჩივრებენ.

**"ეს არის ის ნორმა, რომლითაც ჯაბა ჯიშკარიანს და დაჩი ცაგურიას არაერთხელ დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმა და ადმინისტრაციული პატიმრობა), მაშინ, როდესაც ისინი საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობდნენ,"** - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში".

მოსარჩელეთა განმარტებით, მათი კონსტიტუციური სარჩელი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლთან დაკავშირებით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ასევე "შეკრების და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონთან, მათ შორის 2009 წლის 17 ივლისის ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის ორი წევრის, ბოგდან აურეშკუს და ფინოლა ფლენეგანის მოსაზრებებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ისრაელი და ეგვიპტე ღაზას პრობლემის მოგვარებას ცდილობენ

მარიკა იაშვილი



ეგვიპტე-ღაზის სექტორის საზღვარი რაფაჰთან

მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა ეგვიპტელმა მუშებმა ეგვიპტისა და ღაზას სექტორის საზღვარზე, რაფაჰის გადასასვლელთან ლითონის უდიდესი კედლის მშენებლობა დაიწყეს.

პროექტი, რომელზეც ამერიკელი სამხედრო ინჟინრები მუშაობდნენ, წელიწადნახევრის განმავლობაში უნდა დასრულდეს. პროექტის ავტორები უშუალოდ მონაწილეობენ მშენებლობაში.

კედლის მშენებლობის ფაქტი საიდუმლოებით არის მოცული. თუმცა სადაზვერვო სამსახურები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ კედელი 10 კილომეტრზე გადაიჭიმება და მიწაში 18 მეტრის სიღრმეზე იქნება ჩაშვებული. ებრაული გაზეთი "ჰაარეცი" წერს, რომ კონსტრუქციის სიღრმე უფრო მეტი - 20-30 მეტრი იქნება. გამოცემის ინფორმაციით, მასალა, რომლისგანაც კედელი შენდება, არ იჭრება და არ დნება.

ებრაული არმია და მოსახლეობა ღაზადან 2005 წელს წავიდნენ და ახლა მკაცრად აკონტროლებენ სექტორთან მთელ საზღვარს, სადაც ძალაუფლება პალესტინურ შეიარაღებულ დაჯგუფება "ჰამასს" ეკუთვნის. "ჰამასი" თავის მთავარ მიზნად ებრაული სახელმწიფოს განადგურებას ასახელებს.

ღაზას სამხრეთ საზღვარს ისრაელთან საგანგებო შეთანხმების საფუძველზე ეგვიპტელი მესაზღვრეები აკონტროლებენ. თუმცა საზღვარს კვეთს გვირაბების მთელი ქსელი, რომელთა მეშვეობითაც კონტრაბანდისტებს დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის საქონელი გადააქვთ, მათ შორის, როგორც ისრაელი აცხადებს, იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობები და ადამიანები.

კედლის მშენებლობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული, ეგვიპტის უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლები საზღვრის გასწვრივ მიწაში რამდენიმე ადგილას ფოლადის მილების ჩადებას ადასტურებენ, თუმცა სხვა დეტალებზე საუბარი არ სურთ.

დეტალებზე არც ეგვიტის ქალაქ რაფაჰის წარმომადგენელი სულეიმან ავადი აზუსტებს, თუმცა აცხადებს, რომ ცოტა ხნის წინ საზღვრის მთელ გაყოლებაზე ხეები გაკაფეს, გზა გაიყვანეს და სპეციალური მოწყობილობები დააყენეს, რომლებიც საზღვის კონტროლისთვის არის განკუთვნილი.

რაც შეეხება ეგვიპტის ხელისუფლებას, ისინი ჟურნალისტებთან ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. "ჰამასის" წარმომადგენლები კი ჯერ მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ინფორმაციის გადამოწმებით არიან დაკავებულნი.

პალესტინელებსა და ისრაელს შორის უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზია მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობა.

პალესტინური მხარე ისრაელთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების განახლების მთავარ პირობად სწორედ მშენებლობის შეწყვეტას ასახელებდა. იმავეს მოითხოვდა ისრაელისგან ამერიკის ადმინისტრაციაც, თუმცა ნეთანიაჰუს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით ახლა უკვე ებრაელები გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

ათასობით ებრაელი იერუსალიმში შეიკრიბა, რათა ქვეყნის ხელისუფლების მიერ იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო უკმაყოფილება გამოეხატათ.

მიტინგი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან ჩატარდა. ბენიამინ ნეთანიაჰუმ რამდენიმე დღის წინ გასცა განკარგულება, რომელიც იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე დასახლებების მშენებლობაზე 10-თვიანი მორატორიუმის დაწესებას ითვალისწინებს.

როგორც ისრაელის ხელისუფლებაში განმარტავენ, პრემიერის გადაწყვეტილება მშვიდობიანი მოლაპარაკებების აღდგენას ემსახურება. თუმცა პალესტინელები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ მორატორიუმი საკმარისი არ არის.

ნეთანიაჰუს გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილებას აქტიურად გამოხატავენ თავად ახალმოსახლეებიც და ეს მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი, ჩვეულებრივ, მათ მოქმედებებს უჭერს მხარს.

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო და აღმოსავლეთ იერუსალიმი ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევა და მასზე დასახლებების მშენებლობა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უკანონობაა, თუმცა ამ დრომდე ისრაელის მთავრობას ეს ფაქტი ვერ აფერხებდა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ებრაელების აქცია კარნავალსაც კი ჰგავდა. სცენაზე როკ-ჯგუფი უკრავდა, გარშემო ახლაგაზრდა ქალები ცეკვავდნენ. ირგვლივ მოფენილი იყო პოსტერები, რომლებზეც ეწერა, რომ მტერი არა პალესტინა, არამედ ირანია და ნეთანიაჰუმ არა ამერიკის, არამედ თავისი ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინოს.

სადავო მიწებზე ამ დროისთვის ასზე მეტი დასახლება მდებარეობს, რომლებშიც, საერთო ჯამში, თითქმის ნახევარი მილიონი ებრაელი ცხოვრობს. როგორც ებრაული მოძრაობა "მსოფლიო ახლა" ამტკიცებს (ეს მოძრაობა აღნიშნული დასახლებების მშენებლობის წინააღმდეგია), დღეს დასავლეთ სანაპიროზე ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი საცხოვრებელი ფართი შენდება, ვიდრე ეს მთავრობის მიერ შეზღუდვების დაწესებამდე ხდებოდა.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, დასავლეთ სანაპიროზე ყოველ 100 ათას ახალმოსახლეზე ახლა 1167 ახალი ბინა შენდება, ისრაელის ტერიტორიაზე კი მხოლოდ 836.

ისრაელის მთავრობის ახალი პოლიტიკის მიხედვით, დასავლეთ სანაპიროზე ახალი მშენებლობების ნებართვები 10 თვის განმავლობაში არ გაიცემა. თუმცა მუნიციპალურ შენობებზე და, დაახლოებით, 3 ათასამდე ბინაზე, რომელთა მშენებლობა უკვე დაწყებულია, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ისრაელში არაერთი შეტაკება მოხდა: ახალმოსახლეები საპროტესტო აქციებს ატარებდნენ და ცდილობდნენ არ შეეშვათ დასახლებების ტერიტორიაზე ინსპექციის წარმომადგენლები, რომლებსაც მთავრობის ახალი გეგმების რელიზება სურდათ.

თუმცა ორგანიზაცია "მსოფლიო ახლა" ოფიციალური მონაცემების გაანალიზებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დასავლეთ სანაპიროს მოსახლეთა განცხადებები დისკრიმინაციასა და დასახლებების უწყლოდ დატოვების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება.

ებრაელი პოლიტიკოსები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მთავრობის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს "გაყინვას" უწოდებენ, თუმცა პალესტინელები ამბობენ, რომ რეალურად ეს რეჟიმი მშენებლობების სრული შეწყვეტისგან შორს დგას. ისინი იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში დასახლებათა გაფართოების სრულად შეწყვეტას მოითხოვენ.

როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, შესაძლოა ნეთანიაჰუს კაბინეტი ტაქტიკური თვალსაზრისით მოქმედებს, რაც ემსახურება მსოფლიოსთვის იმის დემონსტრირებას, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის დაბრკოლებას არა ისინი, არამედ პალესტინელები წარმოადგენენ. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, ანალიტიკოსთა აზრით, ისრაელის მთავრობას არჩევანის გაკეთება უწევს: ვისთან ჰქონდეს მშვიდობიანი ურთიერთობა - პალესტინელებთან თუ მოსახლეებთან.

# ბრიტანეთის დედოფალი გაზეთებს სასამართლოში ჩივილით ემუქრება



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ ბრიტანული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში წერილები გააგზავნა, რითაც მკაცრად გააფრთხილა ჟურნალისტები არ დაბეჭდონ პაპარაცების მიერ გადაღებული სამეფო ოჯახის ფოტოები.

როგორც BBC იუწყება, დედოფლის ადვოკატებმა შეახსენეს გამომცემლობებს, იმ ვალდებულებების შესახებ, რის მიხედვითაც, ადამიანის პირადი ცხოვრების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება, მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ არის შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სხვის ცხოვრებაში უხეში ჩარევად ითვლება.

წერილში აღნიშნულია, რომ საშობაოდ, ჰორფოლკში, სენდრინგჰემ ჰაუსში, განსაკუთრებული თვალთვალი დაწესდება ფოტოგრაფებზე.

გარდა ამისა, უელსის პრინცის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პადი ჰავერსონმა განაცხადა, რომ სამეფო ოჯახს ყოველდღიური ცხოვრების კონფიდენციალობის სრული უფლება აქვს.

როგორც ჰავერსონმა განაცხადა, გასაგებია საზოგადოების ინტერესი სამეფო ოჯახის წევრების მიმართ, თუმცა, ეს საკითხი ზომიერების ფარგლებს არ უნდა გასცდეს.

წერილებში ნათქვამია, რომ თუ დედოფლის წერილის ადრესატები - ჟურნალისტები ელისაბედ მეორის გაფრთხილებას არ გაითვალისწინებენ, დიდი ბრიტანეთის დედოფალი მათ სასამართლოში უჩივლებს.

# ობამა ნობელის პრემიას დაბალი რეიტინგით ხვდება

ივა შილაკაძე

ბარაკ ობამას რეიტინგი, გელაპის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად, 47 პროცენტამდე დაეცა. ეს მაჩვენებელი ფრანკლინ რუზველტიდან მოყოლებული წინამორბედ პრეზიდენტებთან შედარებით ყველაზე დაბალია, ცხადია მათი მმართველობის ანალოგიური პერიოდისთვის.

გელაპის ინსტიტუტი რესპონდენტებს შესაბამისი კითხვით 1938 წლიდან მიმართავს, როდესაც რუზველტი თეთრ სახლში უკვე მეექვსე წელს ატარებდა. მისი რეიტინგი 48 პროცენტს ქვევით არასდროს ჩამოსულა.

ობამას უშუალო წინამორბედს, "რესპუბლიკელ" ჯორჯ ბუშ-უმცროსს 2001 წლის დეკემბერში, როდესაც უკვე დაწყებული ჰქონდა ომი ავღანეთში 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის საპასუხოდ, 86-პროცენტიანი რეიტინგი ჰქონდა ანუ ობამას ამჟამინდელ რეიტინგზე 39 პროცენტით მეტი. ბუში უფროსის რეიტინგი 1989 წლის დეკემბერში 71 პროცენტს აღწევდა. რეიგანს 1981 წლის დეკემბერში მხოლოდ 49 პროცენტი ჰქონდა, მაგრამ მაინც ობამაზე მეტი. "დემოკრატ" ბილ კლინტონის რეიტინგი 1993 წლის დეკემბერში 53 პროცენტი იყო, ხოლო მის თანაპარტიელ ჯიმი კარტერისა 1977 წლის დეკემბერში 57 პროცენტი.

თეთრი სახლის პრესმდივანმა რობერტ გიბსმა ცოტა უხეშად აარიდა თავი გელაპის ბოლო მონაცემების პირდაპირ კომენტირებას და აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ობამას ოპონენტებმა უპასუხეს, რომ მისი თანამოაზრეები ამ გამოკითხვას სხვა დროს არ უგულებელყოფდნენ. შარშანდელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ობამას გუნდის წარმომადგენელმა ამაყად წარუდგინა ჟურნალისტებს გელაპის გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც, ამერიკელთა 53 პროცენტს მიაჩნდა, რომ ჰილარი კლინტონი, ობამას იმდროინდელი მთავარი კონკურენტი, "დემოკრატებს" შორის "ნდობას არ იმსახურებდა ".

ნოემბრის შუა რიცხვებიდან ობამას რეიტინგი საბედისწერო 50-პროცენტიან ნიშნულს ქვევით დგას. წინა კვირაში, მას შემდეგ, რაც ობამამ ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შესახებ განაცხადა, რეიტინგი უცბად ავარდა 52 პროცენტამდე. მაგრამ რეიტინგის ეს ზრდა წუთიერი გამოდგა. ობამას რეიტინგმა ასევე ცოტა ხნით აიწია, როდესაც მას ნობელის პრემია მიენიჭა. ხოლო ახლა, როდესაც ობამა პრემიის მისაღებად ოსლოშია ჩასული, გამოკითხულთა 66 პროცენტს მიაჩნია, რომ მას პრემია არ დაუმსახურებია. საწინააღმდეგო აზრი მხოლოდ 26 პროცენტს აქვს. 41 პროცენტმა განაცხადა, რომ ობამასთვის პრემიის მინიჭების შემდეგ მათ თვალში ნობელის კომიტეტის პრესტიჟი დაეცა, კომიტეტზე აზრი უკეთესობისკენ ამერიკელთა მხოლოდ 6 პროცენტს შეეცვალა.

გელაპის უკანასკნელმა გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ ალიასკის ყოფილი გუბერნატორის, "რესპუბლიკელ" სარა პეილინის (ის მაკკეინს ჰყავდა დასახელებული ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად) რეიტინგი თანმიმდევრულად იზრდება და ამ მომენტისთვის 46 პროცენტს მიაღწია, ანუ, სულ რაღაც, ერთი პუნქტით ჩამორჩება ობამასას. გაზეთმა "ლოს ანჟელეს ტაიმსმა" ამ შედეგს "შოკისმომგვრელი" უწოდა და სათაურში გამოიტანა.




როგორც იმავე გამოკითხვის თანახმად გაირკვა, ობამა ვერ ასრულებს არჩევნებამდე დადებულ პირობას, რომ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგებოდა. მისი პიროვნება (თუ საქმიანობა) კვლავ საზოგადოების პოლარიზებას უწყობს ხელს. ობამას მოქმედებებით კმაყოფილია "დემოკრატების" 83 პროცენტი და "რესპუბლიკელების" მხოლოდ 14 პროცენტი. ეს არ იქნებოდა დიდი ტრაგედია, რამდენადაც "დემოკრატები" მეტნი არიან ვიდრე "რესპუბლიკელები", მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ობამამ ვერ გაამართლა დამოუკიდებელი ამომრჩევლების დიდი ნაწილის იმედები. დღეს მას დამოუკიდებელ ამომრჩეველთა მხოლოდ 42 პროცენტი უჭერს მხარს.

ცნობილი პოლიტოლოგი ვირჯინიის უნივერსიტეტიდან ლარი საბატო მიიჩნევს, რომ ობამას 47 პროცენტი უდავოდ, ძირითადად, ეკონომიკის ბრალია, რომელიც ჯერ ისევ მოიკოჭლებს. ობამას უნდა აღელვებდეს საკუთარი რეიტინგი. მძიმე პერიოდებშიც კი პრეზიდენტები, როგორც წესი, ახერხებდნენ საკუთარი მმართველობის პირველი წლის განმავლობაში კრიტიკულ 50-პროცენტიან ზღვარს ზევით ყოფნას. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ამ პერიოდში საზოგადოება საეჭვო მომენტებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას და მხარს უჭერს ახალბედა ხელმძღვანელს. საბატოს სიტყვებით, ამერიკელები სულ უფრო წუხან სამთავრობო ხარჯების და ვალის (ბიუჯეტის დეფიციტის) ზრდის გამო. მათ აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ობამა ცდილობს, გააკეთოს ძალიან ბევრი რამ და თან ძალიან სწრაფად.

ბოლო დღეებში ობამა სერიოზულად შეუდგა უმუშევრობასთან ბრძოლას. მისმა კრიტიკოსებმა კი მაშინვე განაცხადეს, რომ ობამას მიერ შემოთავაზებული ზომები ქვეყანას "სამთავრობო ხარჯებისა და ვალის ზრდამდე" მიიყვანს, რაც უკვე ისედაც იწვევს მისი თანამემამულეების შეშფოთებას. წინა კვირაში პრეზიდენტმა თეთრ სახლში ჩაატარა "სამიტი" უმუშევრობის საკითხებზე, მეორე დღეს კი პენსილვანიაში გამოვიდა სიტყვით და დიდი აღმაფრენით განაცხადა, რომ უმუშევრობა ქვეყანაში შემცირდა - თუნდაც, სულ რაღაც, 0,2 პროცენტით. პენსილვანიაში მისი გამოსვლა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილი გამოსვლების სერიიდან იყო. სამშაბათს პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა ვაშინგტონში, ერთ-ერთ ინსტიტუტში და ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რაც მან უმუშევრობის შესამცირებლად დაგეგმა. ამერიკაში უმუშევრობა ჯერ კიდევ 10 პროცენტს შეადგენს. თავის სიტყვაში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ "დღეს 7 მილიონით მეტი ამერიკელი ზის სახლში უმუშევრად, ვიდრე ეკონომიკური კრიზისის დასაწყისში".

პრეზიდენტი კონგრესს ამერიკის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისთვის მილიარდობით დოლარის გამოყოფას სთავაზობს. ლაპარაკია რკინიგზაზე, საავტომობილო გზებსა და ხიდებზე. მისი გეგმა ასევე გულისხმობს გადასახადების შემცირებას მცირე ბიზნესის იმ მფლობელებისთვის, რომლებიც ხალხს დაასაქმებენ და იმ ბინათმფლობელებისთვის, რომლებიც საკუთარი სახლების გათბობას გააუმჯობესებენ (ეტყობა იგულისხმება კედლების გამსხვილება სითბოგაუმტარი მასალებით).

ეს წინადადებები მაშინვე გააკრიტიკეს კონსერვატიულად განწყობილმა მიმომხილველებმა. ისინი მიიჩნევენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ სამუშაო ადგილებს კერძო სექტორი მთავრობაზე უფრო ეფექტურად ქმნის. ამ თეზისს თავის გამოსვლაში ობამაც დაეთანხმა, მაგრამ განაცხადა, რომ "მთავრობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი საფუძვლის ჩამოყალიბებას, რომელზე დაყრდნობითაც კერძო სექტორს უფრო გაუადვილდება სამუშაო ადგილების შექმნა". კრიტიკოსები კი ამტკიცებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სასურველ შედეგს არ მოიტანს. ობამას ოპონენტებს დაწვრილებით აქვთ განხილული ამ ტიპის პროექტების მიმდინარეობა, იქნება ეს გზების მშენებლობა თუ სახლების დათბობა. ისინი ასაბუთებენ, რომ ყველა ასეთი პროექტი ბიუროკრატიულ ბარიერებში გაიხლართა. ზოგი რეალურად ჩავარდა, ზოგი კი მხოლოდ წლების შემდეგ განხორციელდება და, ფაქტობრივად, არარენტაბელურია.

"რესპუბლიკელები" აღშფოთებულები არიან იმით, რომ ობამა თავისი გეგმების დაფინანსებას მსხვილი ბანკების მიერ ხაზინაში დაბრუნებული სახსრებით აპირებს. ბანკებმა ეს სახელმწიფო დახმარება კრიზისის საწყის ეტაპზე მიიღეს. ობამას მიმართ კრიტიკულად განწყობილი მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ ბანკების მიერ დაბრუნებული სახსრები, კანონის თანახმად, შეიძლება მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას მოხმარდეს.

ძნელი სათქმელია, თუ რა იწვევს აშშ-ს პრეზიდენტის რეიტინგის ვარდნას, თუმცა თავად გელაპის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზებს შორის არის ობამას სტრატეგია ჯანდაცვის სფეროში, რომლის მიმართაც ხალხში წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებაა, აგრეთვე ეკონომიკის მდგომარეობა და ავღანური სტრატეგია. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ობამას რეიტინგის შემცირებამ მყარი ტენდენციის ხასიათი მიიღო. სწრაფი კლება ზაფხულში დაიწყო - 62 პროცენტიდან 53-მდე და მას შემდეგ ეს მაჩვენებელი თანმიმდევრულად ეცემა. ოქტომბრის ბოლოს კრიტიკულ 50 პროცენტიან ზღვარს მიუახლოვდა, ნოემბრის შუა რიცხვებიდან კი მას ნელ-ნელა ჩამოსცდა. სხვათა შორის, ობამას რეიტინგის კლებას მარტო გელაპის ინსტიტუტი არ აფიქსირებს, მსგავსი მონაცემები სხვა გამოკვლევებსაც აქვს.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტ ობამას, პოლიტიკური ოპონენტებისა და მიმომხილველების გარდა, საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენლებიც ღიად აკრიტიკებენ. სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა კინოვარსკვლავის, ქველმოქმედისა და გაერო-ს კეთილი ნების ელჩის ანჯელინა ჯოლის აზრი. ჯოლი ვერ იტანს პრეზიდენტ ობამას და მას შენიღბულ სოციალისტს უწოდებს. კონომსახიობი, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, აშშ-ს პრეზიდენტს აგენტად მიიჩნევს. ანჯელინა ჯოლი სერიოზულად არის დაკავებული განათლებისა და ავადმყოფთა რეაბილიტაციის საკითხებით, კარგად იცნობს ამ სფეროს და ფიქრობს, რომ ობამა ამის შესახებ მხოლოდ ლაპარაკობს და საქმეს არ აკეთებს.

**შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებმა საკუთარ პრეზიდენტს ნობელის პრემიის მიღება ჩაუმწარეს. გუშინ ბარაკ ობამას ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში საზეიმო ვითარებაში გადაეცა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. ის ცერემონიაზე ოჯახთან ერთად ჩავიდა. თავის სიტყვაში ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ამ პრემიას მასზე მეტად იმსახურებენ, თავად იმყოფება საკუთარი გზის დასაწყისში და არა ბოლოში, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ღვაწლის შეფასება. ობამა მიიჩნევს, რომ მისი წვლილი უმნიშვნელოა ისეთი ლაურეატების მიღწევებთან შედარებით, როგორებიც იყვნენ მარტინ ლუთერ კინგი, დედა ტერეზა და ნელსონ მანდელა. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, სამწუხაროდ, ვერ ვიმოქმედებთ ისე, როგორც ამას მარტინ ლუთერ კინგი და მაჰათმა განდი აკეთებდნენ - მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით. იარაღის გარეშე ვერ მოხერხდებოდა ჰიტლერის შეჩერება, ისევე როგორც არ მოხერხდება "ალ კაიდას" ნეიტრალიზაცია. თავის სიტყვაში ამერიკის პრეზიდენტმა კლიმატის ცვლილებებისა და დემოკრატიის საკითხების შესახებაც ისაუბრა.**

# რევიუ

## რაღა დარჩა სამშაბათამდე...

პირველი გვერდიდან



ციტატა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საიტიდან: *"მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის კლიმატიც ძალიან კარგია. საახალწლოდ დაგეგმილია ხოსე კარერასის და U2-ს ჩამოყვანაც. პრეზიდენტის თქმით, გაიზრდება ტურისტების რაოდენობა სამთო-სათხილამურო კურორტებზეც. მან მოუწოდა ლატვიელ ბიზნესმენებს, უფრო ხშირად ჩამოვიდნენ საქართველოში და უფრო ახლოს გაიცნონ აქ არსებული ვითარება..."*

ეს ითქვა და აჟიოტაჟიც ატყდა, რაც სრულებით მოსალოდნელი იყო - ირლანდიური U2 ნამდვილად არის ის ჯგუფი, რომლის სტუმრობაც ნებისმიერი ქვეყნისთვის წლის კულტურულ მოვლენად შეიძლება იქცეს. მით უმეტეს, მოვლენაა ჩვენთვის, სადაც მსოფლიო ვარსკვლავების სტუმრობა მხოლოდ თბილისისა და ბათუმის ჯაზფესტივალებზეა შესაძლებელი, სხვა შემთხვევაში კი დაახლოებით ისეთი ამბები ხდება, როგორიც ცოტა ხნის წინ ერევანში მოხდა და რომელიც ჩელენტანოს სახელს უკავშირდება...

ცხადია, ძნელია ინფორმაციაში ეჭვის შეტანა, როდესაც წყარო ქვეყნის პრეზიდენტია, თუმცა მეტი სარწმუნოებისთვის მისი გადამოწმება მაინც გადავწყვიტეთ. აღმოჩნდა, რომ თბილისის მერია და საქართველოს კულტურის სამინისტრო საქმის კურსში არ არიან იმ უბრალო მიზეზით, რომ მათთვის ამ კონცერტის ორგანიზება არავის დაუვალებია (მათ კი იმის გამო მივმართეთ, რომ მსგავსი მასშტაბის, თანაც საახალწლო ღინისძიებებს სწორედ ეს ორი სახელმწიფო სტრუქტურა კურირებს ხოლმე). რაც შეეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის კომენტარს, მანანა მანჯგალაძემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ U2-ს კონცერტთან დაკავშირებით ოფიციალური ანუ დადასტურებული განცხადება სამშაბათის ბრიფინგზე გაკეთდება.

სამშაბათამდე როგორმე მოვიცდით და თუ ეს ამბავი დადასტურდება, მაშინ აღმოსავლეთ ევროპის თუ არა, პოსტსაბჭოთა სივრცის სამხრეთ ნაწილის ყველაზე მაგარი ქვეყანა ვიქნებით - ასეთი საახალწლო საჩუქრით ხომ ბევრი ქვეყნის მოსახლეობა არ არის განებივრებული! სხვა საქმეა, როგორი ფორმატის კონცერტი იქნება. პირველ რიგში უდავოა, მასზე დასასწრებად ბილეთები არ გაიყიდება, რადგან ამ სინჯის ვარსკვლავების კონცერტის ბილეთები რამდენიმე თვით ადრე იყიდება (მაგალითად, მოსკოვში 25 აგვისტოს დაგეგმილი კონცერტის ბილეთების გაყიდვა 11 დეკემბერს დაიწყო). გარდა ამისა, თუ ახალი წელია, ახალი წელი იყოს! ვის გაუგია საახალწლო საჩუქარში ფულის გადახდა, მით უმეტეს, რომ ბონო გაეროს კეთილი ნების ელჩია, ქველმოქმედებას ეწევა და რაღა ჩვენზე მოინდომებს ჯგუფის ანგარიშის შევსებას.

მოკლედ გადაწყდა, რომ კონცერტი უფასო იქნება. გადაწყდა და ახალი პრობლემაც სწორედ აქ იჩენს თავს, პრობლემის დასადგენად კი ინტერნეტ ფორუმებს გადახედეთ (gol.ge, forum.ge და ასე შემდეგ). მომხმარებელი თან იცინის, თან ტირის. იცინის იმის გამო, რომ ასეთი ბედნიერი ახალი წელი გაუთენდება და ტირის იმიტომ, რომ კონცერტზე შესაძლოა დედმამიშვილების სადღეგრძელოს შემდეგ სუფრიდან გამოპარული კონტინგენტი სჭარბობდეს, რაც მუსიკის მოსმენისგან სიამოვნების მიღებას რამდენადმე ართულებს (გაიხსენეთ თუნდაც შაკირას კონცერტი). მეორე საკითხია, სად შეიძლება ასეთი მასშტაბური კონსტრუქციის განთავსება? ალბათ უფრო სტადიონზე, იპოდრომზე ან გაცილებით დიდ სივრცეში. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ თუ U2 თბილისში ჩამოვა, ამ სცენასაც ჩამოიტანს, რადგან როგორც ინტერნეტში არსებული წყაროები იუწყებიან, სცენის დაშლას და აწყობას დაახლოებით ათი დღე და თითქმის ერთთვიანი მოსამზადებელი სამუშაო სჭირდება. აღარაფერს ვამბობთ უსაფრთხოების ზომებსა და სხვა დეტალებზე, რომელთათვის მზადებაც ასევე დიდი ხნით ადრე იწყება.

...სხვათა შორის, ასეთი სამუშაოები საქართველოს ერთ ზღვისპირა ქალაქში უკვე მიმდინარეობს... 6 სექტემბერს ჯგუფს სტამბოლში აქვს კონცერტი, სტამბოლიდან ამ ქალაქამდე კი ერთი ხელის გაწვდენაა. თუმცა ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით და უფრო სარწმუნო ფაქტებით მოგითხრობთ.

სარწმუნო ფაქტებს კი ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კარგ მუსიკას მონატრებული ქართველი მსმენელი ნებისმიერი ჭორის ატაცებაზეა თანახმა. მაგალითად, ასე მოხდა ზაფხულში, როდესაც მთელ ქალაქში გავრცელდა, რომ სექტემბრის დასაწყისში დაგეგმილი სასტუმრო "რედისონის" გახნაზე, არც მეტი არც ნაკლები, Red Hot Chili Peppers უნდა ჩამოსულიყო. ჭორი იმდენად ბუნებრივად იყო შედგენილი, იმდენ კონკრეტულ დეტალს მოიცავდა, რომ ჯგუფის ფანებმა სერიოზულად დაიწყეს ფულის შეგროვება. ცხადია ეს ამბავი არ გამართლდა. სამაგიეროდ, რატომღაც არასდროს არ არის ჭორი შაკირას, "ჯიპსი კინგის", ტოტო კუტუნიოსა და მსგავსი სუბიექტების სტუმრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციები. უბრალოდ უსამართლობაა და მეტი არაფერი!

ახლა კი რაც შეეხება U2-ს 360° Tour-ს, რომლის მსმენელიც მართლაც შეიძლება გავხდეთ. ტურნე 29 სექტემბერს ვაშინგტონში დაიწყო. 28 ოქტომბრამდე ამერიკის სხვადასხვა ქალაქში ჯგუფმა 15-მდე კონცერტი ჩაატარა. 2010 წლის 10 აგვისტოდან ჯგუფი ევროპაში გადმოინაცვლებს, პირველ კონცერტს ფრანკფურტში, შემდეგ კი ჰანოვერში ჩაატარებს. 360° Tour იმის გამოც იქცა ასეთ მნიშვნელოვან მოვლენად, რომ მის დაწყებამდე U2-ს წევრებმა გაკვრით ახსენეს, რომ ტურნეს დასრულების შემდეგ ხანგრძლივი არდადეგების აღებას აპირებდნენ, რაც ბევრმა ჯგუფის მოღვაწეობის შეწყვეტის ნიშნადაც მიიღო. ამ ეჭვს ტურნეს ასეთი მასშტაბურობაც იწვევდა. ასეა თუ ისე, 2009-2010 წლებზე გადანაწილებული საგასტროლო კონცერტები ნამდვილად მოვლენად იქცა, რასაც უკვე ნახსენები სცენის თავისებური დიზაინიც განაპირობებს. სცენა მოედნის შუაგულში იგება და მუსიკოსებისთვის თვალ-ყურის დევნება ნებისმიერი ადგილიდანაა შესაძლებელი. ბონოს ინიციატივით და ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, ბილეთების ფასები შემცირებულია (საშუალოდ 37 ევრო), ხოლო VIP ადგილებსითვის დაწესებული 1300 ევრო მთლიანად მალარიით დაავადებული ადამიანების საქველმოქმედო ფონდში ირიცხება.

P.S. ახალ წლამდე 20 დღე დარჩა, სამშაბათამდე უფრო ცოტა...

# კინო ვამპირებსა და "ფეისბუქზე"

### ტიმ ბარტონი ჯონი დეპთან ერთად მეშვიდე ერთობლივ ფილმს იღებს

მართალია თბილისის კინოფესტივალი სულ ორიოდე დღის წინ დასრულდა, ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ კინოსადმი ინტერესიც მისი ბოლო ფილმის ტიტრებს უნდა გავაყოლოთ. ამიტომ გთავაზობთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი გადასაღებ მოედნებს და ჩვენთვის ჩავინიშნოთ, რომელი ფილმის გამოსვლას დაველოდოთ.

ეს ინფორმაცია პირველ რიგში კლასიკური მუსიკის, უფრო კი ჩაიკოვსკის მოყვარულებს დააინტერესებს - კინოსტუდია New Line უახლოეს მომავალში გრანდიოზულ პროექტზე დაიწყებს მუშაობას, მომავალი წლის მიწურულს კი მსოფლიო ეკრანებზე "მაკნატუნას" კინოვერსიას გამოუშვებს. სცენარი, რომლის ავტორიც მეოთხე "შრეკისა" და სერიალ "დაკარგულების" სცენარის ერთ-ერთი შემქმნელი დარენ ლამკეა, უკვე მზადაა. ცნობილია ისიც, რომ ფილმის ავტორები უარს ამბობენ ამბის კლასიკურ თხრობაზე, გამოიყენებენ ბევრ თანამედროვე დეტალს და დაახლოებით ისეთ ფენტეზის შექმნიან, როგორიც "ნარნიას ქრონიკები" ან "ოქროს კომპასია". "მიყვარს კლასიკური ისტორიები, რომელთა თანამედროვე ინტერპრეტირება შესაძლებელია. "მაკნატუნაც" ერთ-ერთი მათგანია. იმედი მაქვს, ფილმი ბავშვების გარდა მოზრდილ მაყურებელსაც ცოტა ხნით მაინც ამოგზაურებს ზღაპრულ სამყაროში", - ამბობს დარენ ლამკე.

მომავალი წლის 15 დეკემბერი დასახელდა დევიდ ფინჩერის ბოლო ფილმის, "სოციალური ქსელის" პრემიერის დღედ. ფილმი საკმაოდ ორიგინალურ თემას, საიტ Facebook-ს ეხება. ეს სოციალური ქსელი 2004 წელს შეიქმნა და დღეისთვის მსოფლიოს ყველაზე უხვმომხმარებლიან საიტად მიიჩნევა. "ფეისბუქი", საქართველოშიც მეტად პოპულარულია, ამიტომ მის თვისებებსა და თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. საიტი ოფიციალურად 2004 წლის 4 თებერვალს გაუშვეს. მისი შემქმნელია ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი მარკ ცუკენბერგი, რომელმაც ქსელი თავიდან მხოლოდ სტუდენტების ურთიერთობისთვის, ფაილების გაცვლისთვის შექმნა. დღეისთვის კი მისი მომხმარებლების რაოდენობა 350 მილიონს აღწევს და სხვა მსგავსი ტიპის სოციალურ ქსელებს მაღალი მაჩვენებლით უსწრებს. დევიდ ფინჩერის ფილმი "ფეისბუქის" შექმნისა და წარმატების გზას გვიჩვენებს, მარკ ცუკენბერგის როლში ახალგაზრდა მსახიობი ჯესი ეიზენბერგია ("ზომბილენდი") დაკავებული, საიტის პირველი პრეზიდენტის, შონ პარკერის როლს კი ჯასტინ ტიმბერლეიკი ასრულებს.

მორიგი პროექტისთვის ემზადება მელ გიბსონიც და თუ მის სარეჟისორო ნამუშევრებს გადავავლებთ თვალს, წინასწარვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინ კარგი სანახაობა გველის. ამჯერად გიბსონი ფილმს სისასტიკითა და უპირობობით განთქმულ მექსიკის ციხეზე გადაიღებს. სპეციალურად მისთვის რეალურ ციხეს, მექსიკის შტატ ვერაკრუსში არსებულ "იგნასიო ალიენდეს" რამდენიმე ფლიგელს გაათავისუფლებენ და გადასაღებ მოედნად აქცევენ. ჯერჯერობით არ არის ცნობილი სიუჟეტის დეტალები, თუმცა გიბსონის წარმომადგენელი იმას კი ადასტურებს, რომ ფილმი რამდენიმე პატიმრის ტრაგიკულ, სისასტიკით სავსე დღეებს აღწერს. საინტერესოა, რომ რეჟისორი "აპოკალიფსს" სწორედ ვერაკრუსში იღებდა, ხოლო მიმდინარე წელს ქარიშხლით დაზიანებული სახლების აღსადგენად მილიონი დოლარი გაიღო.

გრაფი დრაკულა კი კიდევ ერთხელ გაცოცხლდება, თუმცა ამჯერად კინოეკრანზე - პოპულარული ფილმის, "ბინდის" შემქმნელები გრაფის შესახებ მორიგ კინოისტორიას, სახელწოდებით "ვლადი" ამზადებენ. ჩარლი ჰანემის მიერ შექმნილი სცენარი ვლახეთის მმართველ ვლად III ცეპეშის ახალგაზრდობაზე მოგვითხრობს. როგორც ცნობილია, სწორედ ეს მმართველი მიიჩნევა შემდგომში ცნობილი გრაფ დრაკულას პროტოტიპად. ფილმის რეჟისორი აქამდე მუსიკალური კლიპების გადაღებით ცნობილი ენტონი მენდლერი იქნება, ხოლო პროდიუსერის როლს არც მეტი არც ნაკლები, ბრედ პიტი მოირგებს. ჯერჯერობით ცნობილი არაა, ითამაშებს თუ არა იგი ფილმში და გაიხსენებს თუ არა ახალგაზრდობაში ფილმში "ინტერვიუ ვამპირთან" მიღებულ გამოცდილებას.

ახალი პროექტის შესახებ საუბრობს ტიმ ბარტონიც, რომლის ბოლო ფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" მომავალი წლის მარტში გამოდის. 60-იანი წლების პოპულარული ტელეშოუ Dark Shadows-ის მიხედვით გადაღებულ ფილმში ამჯერადაც მისი საყვარელი მსახიობი ჯონი დეპი ითამაშებს. "ჯონ ავგუსტის მიერ მომზადებული სცენარის შავი ვარიანტი მართლაც რომ "შავია", ზუსტად ისეთი როგორი ფილმების გადაღებაც მე მიყვარს", - ამბობს ტიმ ბარტონი. შეგახსენებთ, რომ პოპულარული Dark Shadows ამერიკის ტელეეთერში 1966-1971 წლებში გადიოდა, მისი პერსონაჟები კი ვამპირები, მაქციები, ჯადოქრები და მსგავსი "უწმინდურები" იყვნენ.

კომენტარები მთავარზე



## გაბუტული ჩინოვნიკები

ლაშა ბუღაძე

რა მშვენიერი ტრადიცია დამკვიდრდა საქართველოში:

ადამიანები იმ დარგების შესასწავლად მიემგზავრებიან უცხოეთში, რომელთაც აქ ხელმძღვანელობდნენ მინისტრების რანგში...

ყოფილი განათლების მინისტრი განათლების მისაღებად მიემგზავრება უცხოეთს...

ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ბიზნესისა და ეკონომიკის...

ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა (თუ მინისტრებმა) კი ფინანსები...

ჟურნალისტიც, რომელიც უკვე წლებია, რაც ჟურნალისტობს, ახლა, თურმე, სწორედ ჟურნალიზმის შესასწავლად მიეშურება.

ესე იგი, რა გამოვიდა:

გაუნათლებლები ვიყავით, მაგრამ განათლებას ვხელმძღვანელობდით.

ეკონომიკის ინჩი-ბინჩი არ გაგვეგებოდა, მაგრამ ერის ეკონომიკა გვებარა.

თვლაც არ ვიცოდით ნორმალურად, მაგრამ ფინანსთა მინისტრობაზე მაინც ვერ ვთქვით უარი.

არც კარგი ჟურნალისტები ვყოფილვართ თურმე - მთელი ეს წლები, როგორც არაპროფესიონალებმა, ისე ვიმუშავეთ და, შესაბამისად, ვუშვით და ვუშვით შეცდომები...

ეჰ, ნეტავ მართლაც შეცნობისა და განათლების წყურვილით შეპყრობილები ტოვებდნენ თავთავიან პოსტებსა და თანამდებობებს! - აგდებენ და ამიტომაც მიდიან სასწავლებლად... სხვა გზა აღარ რჩებათ. როცა ძირს ეშვებიან, სწავლას მაშინღა იწყებენ.

სწავლა ამათთვის ბოლო ნიშნულია. მერე უკვე ჯოჯოხეთია.

გახსოვთ, როგორ გაიბუტნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრები, სასწავლებლად და ბიზნესის საკეთებლად რომ გაამწესეს? რას გვებღვირებოდნენ?!

ეს ფრაზაც მომწონს: "ყოფილი მინისტრი ბიზნესს უბრუნდება". ანუ ფული იშოვა მინისტრობისას და ახლა ამ ფულით მოახლაფორთებს რაღაცას...

აბა, მართლა სწავლას კი არ დაიწყებს!

წარმატების ფორმულა ასეთია: ჯერ ერთგულება, მერე მინისტრობა, ბოლოს კი გაბუტვა და "სწავლა"... ან მიბრუნება (?) ბიზნესში... ანუ - ვიმეორებ - პოლიტ-მწვერვალზე ყოფნისას მოქუჩებულის ღირსეულად დაბანდებ-დატრიალება.

უკვე ვხედავ ახალ გაბუტულ მინისტრებს... ჩანთების ჩალაგებისას, ცრემლებით, - სწავლით ან ფულისკეთებით დაწყევლილებს...

განათლების რეფორმა ეროვნული გამოცდების შემდეგ ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ... და ანკი როგორ უნდა წაიწიოს, როცა მომავალში დაბოლმისთვის განწირულ მინისტრებს წარმოდგენაც არა აქვთ, წინ რა და როგორ უნდა წაწიონ.

# ნობელიანტი და ქართველები




თამარ კიკნაველიძე

გუშინ TBC-ის მთავარ ოფისში, ამ ბანკის კლიენტებთან ერთად, წიგნითა და უძველესი საოქრომჭედლო ტექნოლოგიებით დაინტერესებულმა ადამიანებმაც შეაბიჯეს. იქ გახსნილი საგამოფენო დარბაზი აქტიურად ფუნქციონირებს და საქართველოში გალერეების ნაკლებობით წარმოქმნილ ვაკუუმს მეტწილად ავსებს. გამოფენებიდან იშვიათია ისეთი, რომელიც აუცილებლად უნდა ნახო. გამონაკლისია ექსპოზიცია, რომელიც TBC ბანკში გაიხსნა. კომპანია “მარილისის” შემოქმედებით სახელოსნოსა და “თანამედროვე ქართულ საგანძურზე” მოგვიანებით მოგახსენებთ. თავდაპირველად გაგაცნობთ წიგნს, რომელიც “ნობელის პრემიის ლაურეატების” სერიით გამოიცა.

### ნობელის დღე

ამ სერიაში გაერთიანებულ წიგნებს ბევრი კითხულობს და არ მეგულება ადამიანი, რომელსაც უყვარს კითხვა, ახერხებს წიგნის შეძენას და ერთი ნობელიანტის ქართულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოები მაინც არ წაუკითხავს...

გამომცემლობა “ინტელექტმა” ივო ანდრიჩის “დრინის ხიდის” პრეზენტაცია მოაწყო დღეს, როდესაც სტოკჰოლმში მწერლებს ნობელის პრემიით აჯილდოებენ. ერთდღიან აქციას, რომლის ფარგლებშიც მკითხველს “ნობელის პრემიის ლაურეატების” სერიით გამოცემული თარგმანების ყიდვა ფასდაკლებით შეეძლო, “ნობელის დღე” ეწოდა.

ივო ანდრიჩი (1892-1975)ერთადერთი იუგოსლავიელი მწერალია, რომელსაც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. 1912 წელს ჩააბარა ზაგრების სამეფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი სწავლობდა ვენაში, კრაკოვსა და გრაცში. 1924 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე “ბოსნიაში სულიერი ცხოვრების განვითარება თურქეთის ბატონობის ქვეშ”. პირველი მსოფლიო ომისას ანდრიჩი, როგორც “იუგოსლავიელი ნაციონალისტი”, დააკავეს. ის წარმატებული დიპლომატი იყო. 1920 წლებში ის მუშაობდა ვატიკანის საელჩოში, შემდეგ კი ბუქარესტის, ტრიესტისა, გრაცის, მარსელის, პარიზისა და მადრიდის საკონსულოებში. 1930-33 წლებში იყო იუგოსლავიის სამეფო დელეგაციის მუდმივი მდივანი და ბერლინში იმყოფებოდა როგორც იუგოსლავიის ხელისუფლების საგანგებო წარმომადგენელი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ხელისუფლებასთან უთანხმოების მიზეზით, ანდრიჩი სამსახურიდან წამოვიდა და ბელგრადში დაბრუნდა. ამ დროს დაწერა ნაწარმოები, რომლითაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. 1954 წელს ის შედის იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში და იუგოსლავიელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ხდება. მას ნობელის პრემია 1961 წელს გადაეცა.

მისი შემოქმედების შესწავლისას მკვლევარებს უჭირთ ზუსტი პასუხი გასცენ კითხვას: - რომელი ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელი იყო ანდრიჩი, სერბულის თუ ხორვატიულის? სერბები თვლიან, რომ სერბულის, ხორვატები კი - ხორვატიულის... ის ამითაც გამორჩეულია.

ივო ანდრიჩის ნაწარმოებებიდან ყველაზე ცნობილია “დრინის ხიდი”, რომელიც ქართულად მედეა კახაძემ და ზაქარია მამისაშვილმა თარგმნეს. მისი წინასიტყვაობა როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის.

“აგებულებით ეს რომანი ისეთ ვეება ექსპოზიციად მოჩანს, სამწიგნეულისათვის რომ გადამეტებულია და ვრცელ ციკლს უფრო გულისხმობს თავის მომდევნოდ. ამიტომაც არა ჰყავს რომანს ერთი მთავარი გმირი, ვის ირგვლივაც გაიშლებოდა სიუჟეტური ქარგა და თანამედროვე და წარსულის სურათები ასე შეენაცვლებოდა ერთმანეთს; და ამის მაგივრად, თანაბრად წარმოდგება პერსონაჟთა მთელი გალერეა... სამნახევარი საუკუნის მანძილზე. მწერალს მოზაიკური სტრუქტურა უმჯობინებია, რათა ქრონოლოგიურად გამოჰყოლოდა ქვეყნის ცხოვრებას და ისტორიული მატეანე ამბებით შეევსო - ძველ ისტორიკოსთა კვალობაზე, თვალსაჩინოებისთვის უამრავ სიუჟეტს რომ ჩართავდნენ თხრობაში, და მათგან ზოგი ნოველას მოგვაგონებდა და ზოგიც მინიატურას, ადამიანური ხასიათები ხომ უხვად წარმოდგებოდა და ისტორიული ქრონიკა სიცოცხალეს, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ექსპრესიას იძენდა”, - წერს როსტომ ჩხეიძე და ყურადღებას ამახვილებს ხიდის სიმბოლიკაზე, რომელიც ქართველებისთვისაც ნაცნობია. ის პარალელს ავლებს სერბეთსა და საქართველოს შორის და აღნიშნავს: “გაჭიანურებული ომი სერბებსა და ალბანელებს შორის, ალბანელებს, რომელნიც ტერიტორიას ედავებოდნენ სერბებს და მოითხოვდნენ კოსოვოს ცნობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, წააქეზებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს - ეცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რათა მძიმე დარტყმა მიეყენებინა სერბებისთვის, როგორ თუ რუსეთთან თანამშრომლობაზე უარს არ აცხადებთო. ამ გადაწყვეტილებისას ამერიკელ ხელისუფალთ არ გახსენებიათ ანდა აინუნშიც არ ჩააგდეს რუსეთისაგან მოსალოდნელი სადამსჯელო ოპერაცია - ეღიარებინა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (ჩრდილო ოსეთი მკვიდრად რჩებოდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში!) და კიდევ უფრო გაერთულებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ასე ჩაგვაყოლეს ზვარაკად ლიბერალური დემოკრატიზმის გავრცელება-განმტკიცებას ქართულ და სერბულ გადმოცემათა პერსონაჟებივით!..”

პარალელები არსებობს და მათ აღმოსაჩენად 1942-43 წლებში დაწერილი “დრინის ხიდი” უნდა წავიკითხოთ.

### მარილმოყრილი ხელოვნება

“თანამედროვე ქართული საგანძური” ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც ქართული საოქრომჭედლო ტექნოლოგიებით შექმნილი ექსკლუზიური ნივთებია გამოფენილი. ისინი დამზადებულია შემოქმედებით სახელოსნოში, სახელწოდებით “მარილისი”, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ამას კი წინ უძღოდა ნათია გოცირიძისა და ერმილე მაღრაძის მიერ ძველი ქართული და არქაული საიუველირო ტექნოლოგიების მრავალწლიანი კვლევა-ძიება.

რა წარმოგვიდგინა “მარილისმა”? 18 საავტორო ნამუშევარი. მათ შესაქმნელად ავტორებმა გამოიყენეს ოქრომჭედლობის ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა: ჭედურობა, უძველესი ცვარი, შუა საუკუნეების ქართული მინანქარი, დახვეწილი ზარნიში, გლიპტიკა და ა.შ. “აქ წარმოდგენილია ოქროს ქსოვილის უნიკალური ნიმუში, რომელიც ადამიანის თმის სისქის ძაფებით იქსოვება. ამ საოცარ



ქსოვილს თანამედროვე საიუველირო ხელოვნებაში ანალოგი არა აქვს”, - გვითხრა ქ-მა ნათიამ. ის წელიწადნახევარია თბილისშია, მაგრამ სახელოსნო აქვს პრაღაში, იმ ქალაქში, სადაც ხელოვნების სკოლის საიუველირო ფაკულტეტი დაამთავრა. მისი და ერმილე მაღრაძის (ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის საგანძურის რესტავრატორი) ტანდემი წარმატებული აღმოჩნდა. ისინი პროფესიონალები არიან და ქმნიან ნამუშევრებს, რომლებიც მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

**- რატომ “მარილისი”?**

**ნათია გოცირიძე:** - ცხოვრება მარილიანია... ამასთან, ყველაფერს, რასაც აკეთებ, მარილი უნდა მოაყარო და ამ დარგშიც ასეა... აქ არ არის საკმარისი იყო მხოლოდ მხატვარი, ან ოქრომჭედელი - აქ ყველაფერი ერთად უნდა იყო...

ნამუშევრებში შედგება საყრდენი კონსტრუქციისგან და დეკორისგან. მათში გამოყენებულია ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, მაგალითად: ბრილიანტი, ამეთვისტო, აქვამარინი, ფირუზი, ძოწი და ა.შ. ქართული საოქრომჭედლო ტექნოლოგიების პარალელურად, ავტორებს შესწავლილი აქვთ გემოლოგია, რაც ექსპონატებზეც აისახება. ოსტატების შექმნილი სამაჯურების, საყურეების, ბეჭდების, ყელსაბამების, ჯვრებისა, თუ მედალიონების ნახვა დამთვალიერებელს რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლია.

## *განცხადება დაღმავალი აუქციონის მეთოდით დიზელის საწვავის შესყიდვის შესახებ*

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს შესყიდვას - დაღმავალი აუქციონის მეთოდით:

**ლოტი 1** - 1'550'000 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლიტრი (სავარაუდო რაოდენობა) დიზელის საწვავის შესყიდვის მიზნით;

**ლოტი 2** - 16'000 ლიტრის დიზელის საწვავის (Gasoil 0,2% - ლ 62) ტალონების შესყიდვის მიზნით;

**ლოტი 3** - 3'000 ლიტრის ევრო დიზელის ტალონების შესყიდვის მიზნით.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

დაღმავალი აუქციონის საწყისი ფასი (ლოტების მიხედვით) - განისაზღვრება მონაწილეების მიერ დახურული კონვერტების გახსნისა და თითოეული მონაწილის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასით, რომელთაგან უმცირესი იქნება აუქციონის (კონკრეტული ლოტის) საწყისი ფასი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა შეიძინონ აუქციონში მონაწილის ბილეთი, რომლის საფასური განსაზღვრულია 100 (ასი) ლარის ოდენობით.

დაღმავალ აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 0,5 თეთრს.

*აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტები:*
*სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი*
*ბანკის კოდი: №220101502*
*ანგარიშსწორების ანგარიში: № 021467029*
*საიდენტიფიკაციო კოდი: № 202886788*
*შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"*

### ლოტი 1 - დაღმავალი აუქციონის პირობები:

- დაღმავალი აუქციონის შედეგად გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა შეადგენს 2010 წლის პირველ თებერვლამდე.
- დაღმავალ აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 0,5 თეთრს (ნახევარი თეთრი).
- მონაწილის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ოთხი ტიპის (Gasoil 0,2%, Gasoil 0,1%, 50 ppm ან 10 ppm) დიზელის საწვავიდან ერთ-ერთი (გამარჯვებულად გამოვლინდება მონაწილე, რომელიც აუქციონის ვაჭრობისას დააფიქსირებს უმცირეს ფასს, მიუხედავად დიზელის საწვავის ტიპისა). საწვავის ტიპი მითითებული უნდა იქნეს მონაწილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ამასთანავე მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საწვავის ტიპის სრული ხარისხობრივი აღწერა და საწვავის ხარისხის სერთიფიკატი (ან ხარისხის პასპორტი);
- დიზელის საწვავის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების მოთხოვნებს.
- საქონლის მიწოდების ადგილია - შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საწვავგასამართი სადგურები (№1 ავტობაზა - ჟორესის ქ. №7; №2 ავტობაზა - ხევძმარის ქ. №1; №3 ავტობაზა - წყალსადენის ქ. №16, ამასთანავე 5000 ლიტრი საწვავი მიწოდებული უნდა იქნეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში ორთჭალგესის მიმდებარე ტერიტორიაზე - საწარმოს 5,1 ობიექტზე).
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად შემსყიდველის მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად.
- ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, საქონლის მოწოდება გამარჯვებულმა პირმა უნდა დაიწყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან მეორე დღეს (სავარაუდოდ 2010 წლის 1იანვრიდან).
- მისაწოდებელი დიზელის საწვავის რაოდენობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ერთი თვე) სავარაუდოდ შეადგენს 1'550'000 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლიტრი.
- საწვავგასამართი სადგურების ავზების შევსება უნდა განხორციელდეს საჭიროებისამებრ არაუგვიანეს დღის 12:00 სთ-მდე, დაკალიბრებული ცისტერნებიდან.
- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, ყოველ კალენდარულ კვირაში (ორშაბათიდან დაწყებული კვირა დღის ჩათვლით) მოწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო კვირის ბოლო სამუშაო დღისა (ანგარიშსწორების განსხვავებული პირობები არ გაითვალისწინება).
- ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურის სახით.
- გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც დაღმავალ აუქციონზე (ვაჭრობის შედეგად) შემსყიდველს შესთავაზებს ერთ ლიტრ საწვავზე ყველაზე დაბალ ფასს, რომელიც აისახება გამარჯვებულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მისი ცვლილება დაუშვებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი განაცხადი.
- პირველად განაცხადში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები თუ მოსაკრებლები და ყველა სხვა შესაძლო ხარჯი.
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია საქონლის ღირებულების არანაკლებ 1 %-ის ოდენობისა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს 2010 წლის 5 იანვრამდე.

### ლოტი 2 - დაღმავალი აუქციონის პირობები:

- დაღმავალი აუქციონის შედეგად გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა შეადგენს 2010 წლის 1 თებერვლამდე.
- დაღმავალ აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 0,5 თეთრს (ნახევარი თეთრი).
- მონაწილის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ოთხი ტიპის (Gasoil 0,2%, Gasoil 0,1%, 50 ppm ან 10 ppm) დიზელის საწვავიდან ერთ-ერთი (გამარჯვებულად გამოვლინდება მონაწილე, რომელიც აუქციონის ვაჭრობისას დააფიქსირებს უმცირეს ფასს, მიუხედავად დიზელის საწვავის ტიპისა). საწვავის ტიპი მითითებული უნდა იქნეს მონაწილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ამასთანავე მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საწვავის ტიპის სრული ხარისხობრივი აღწერა და საწვავის ხარისხის სერთიფიკატი (ან ხარისხის პასპორტი);
- დიზელის საწვავის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების მოთხოვნებს.
- საქონლის მიწოდების ადგილია - შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ცენტრალური საწყობი, მის: მექანიზაციის ჩიხი №1.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
- მისაწოდებელი დიზელის საწვავის ტალონების რაოდენობა შეადგენს 16'000 (თექვსმეტიათასი) ლიტრი.
- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურის სახით.
- გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც დაღმავალ აუქციონზე (ვაჭრობის შედეგად) შემსყიდველს შესთავაზებს ერთ ლიტრ საწვავზე ყველაზე დაბალ ფასს, რომელიც აისახება გამარჯვებულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მისი ცვლილება დაუშვებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი განაცხადი.
- პირველად განაცხადში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები და ყველა სხვა შესაძლო ხარჯი.
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია საქონლის ღირებულების არანაკლებ 1 %-ის ოდენობისა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს 2010 წლის 5 იანვრამდე.

### ლოტი 3 - დაღმავალი აუქციონის პირობები:

- დაღმავალი აუქციონის შედეგად გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა შეადგენს 2010 წლის 1 თებერვლამდე.
- დაღმავალ აუქციონზე სავაჭრო ბიჯის ოდენობა შეადგენს 0,5 თეთრს (ნახევარი თეთრი).
- მონაწილის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს მხოლოდ ევროდიზელი (გამარჯვებულად გამოვლინდება მონაწილე, რომელიც აუქციონის ვაჭრობისას დააფიქსირებს უმცირეს ფასს, მიუხედავად დიზელის საწვავის ტიპისა). მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საწვავის ხარისხის სერთიფიკატი (ან ხარისხის პასპორტი);
- დიზელის საწვავის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების მოთხოვნებს.
- საქონლის მიწოდების ადგილია - შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ცენტრალური საწყობი, მის: მექანიზაციის ჩიხი №1.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
- მისაწოდებელი დიზელის საწვავის ტალონების რაოდენობა შეადგენს 3'000' (სამიათასი) ლიტრი.
- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურის სახით.
- გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც დაღმავალ აუქციონზე (ვაჭრობის შედეგად) შემსყიდველს შესთავაზებს ერთ ლიტრ საწვავზე ყველაზე დაბალ ფასს, რომელიც აისახება გამარჯვებულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მისი ცვლილება დაუშვებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი განაცხადი.
- პირველად განაცხადში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები და ყველა სხვა შესაძლო ხარჯი.
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია საქონლის ღირებულების არანაკლებ 1 %-ის ოდენობისა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს 2010 წლის 5 იანვრამდე.

### აუქციონში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები

**იურიდიული პირის შემთხვევაში:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაწილის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

**ფიზიკური პირის შემთხვევაში:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაწილის დასახელებას, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს;

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირის შემთხვევაში:**

- განაცხადი და აუქციონის პირობებით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ერთ დახურულ კონვერტში, რომელიც გაიხსნება აუქციონის ჩატარების დროს.
- განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს მონაწილის ცალსახა თანხმობას, რომ აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მის მიერ აუქციონის პირობები სრულად იქნება შესრულებული. აუქციონის პირობები უცვლელი სახით ასახულ იქნება გამარჯვებულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
- მონაწილის ბილეთის საფასურის შემსყიდველის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი.

### დაღმავალი აუქციონის მონაწილეთა შერჩევის პროცედურა:

- დაღმავალ აუქციონზე ვაჭრობის დაწყებამდე აუქციონატორი ხსნის მონაწილეების მიერ წარმოდგენილ დახურული კონვერტებს, სააუქციონო კომისიას აცნობს მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
- სააუქციონო კომისიის მიერ ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს დაღმავალი აუქციონის პირობებს.

აუქციონში მონაწილეობის განაცხადები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ყოველ დღე 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, განცხადების მიღების ბოლო დღეა 2009 წლის 24 დეკემბერი **11:55** საათი. მონაწილის ბილეთის საფასურის შემსყიდველის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მონაწილეს გადაეცემა დაღმავალ აუქციონში მონაწილეობის ინსტრუქცია და მონაწილის ბილეთი.

აუქციონი შედგება 2009 წლის 24 დეკემბერს **12:00** საათზე.

აუქციონში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული (ლოტების მიხედვით).

აუქციონში გამარჯვებულ პირ(ებ)სა და შემსყიდველს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება აუქციონის პირობები და აუქციონის შედეგად გამოვლენილი ფასი. ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუქციონში გამარჯვებულმა პირ(ებ)მა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 10 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

*დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:*
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2.
ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1605.

*სააუქციონო კომისია*

# IBERIUS ABORTUS - QAJUS!



ზაზა ფაჩუაშვილი

შეცდომა მაშინ დამიშვია, როცა განაყოფიერებაში მივიღე მონაწილეობა და საშვილოსნოში პირველი შევვარდი. ჩემდა სამწუხაროდ, ყველაფერი მხიარული თამაში მეგონა. იმდენი მეცნიერული განათლება არ მაქვს, რომ ჩემი გაჩენის პროცესი ავხსნა, მაგრამ რაც გადამხდა, იმის მოყოლა შემიძლია.

თავი იმ წუთიდან მახსოვს, როცა მე და ჩემი და-ძმები ჯერ კიდევ მამის ტყუპ ჯირყვალში ვისხედით და ნარნარად ვირწეოდით. ერთმანეთს ისე ვიყავით ჩახუტებულები, როგორც ერთი მთლიანი თეთრი ბურთი, თბილი და ნათელი. ერთ მშვენიერ დღეს, თითქოს, უფრო დათბა, შემდეგ ტემპერატურა ნელნელა გაიზარდა, გაიზარდა, გაიზარდა და ჩვენც საქანელასავით გავქანდით. სიცილისგან სულს ძლივს ვითქვამდით, მაგრამ მაინც გულიანად ვკისკისებდით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კარუსელივით დავტრიალდით, ცოტა გავიშალეთ კიდეც, მაგრამ ერთმანეთს ვეწეოდით, ხელს ვავლებდით, ვეპოტინებოდით და მაგრადაც ვხალისობდით. ბოლოს ისე მოხდა, რომ ადგილზე ველარ ვეტეოდით და სწორედ ამ დროს გაიღო რაღაც კარი, რომელსაც მანამდე ვერ ვამჩნევდით. ჩვენც ცურვითა და ყირამალათი ვეცით გასასვლელს. ერთმანეთს ხელს ვუშლიდით, ვასწრებდით და მე, როგორც ყველაზე ყოჩაღი, პირველი შევვარდი მოიისფრო მილში. ტრიალითა და თავპირისმტვრევით მივექანებოდი წინ და მახელებდა იმის შეგრძნება, რომ უკან ჩემი და-ძმების მთელი არმია მომდევდა.

მილიდანაც მხიარულად გავარდი, ცოტა ვიფრინე კიდეც და სიხარულითაც მთლად აღვფრთოვანდი, მაგრამ უფრო დიდ არხში რომ მოვხვდი, უცხო გარემომ ცოტა შემაშინა. მართალია, წითელი არხის რბილი ტალღოვანი კედლები ბიძგებით წინსვლაში მეხმარებოდნენ და მაგრძნობინებდნენ, რომ რაღაც მშობლიური მელოდა, მაგრამ ხალისიანი განწყობილება დამეკარგა. ჩემი დაძმებიც ჩამომრჩნენ და გაიფანტნენ, თუმცა ისევ მომდევდნენ. ასე მივიწევდით რამდენიმე საათის განმავლობაში. დამცხა, თავი გამიოფლიანდა, კუდის ქნევითაც ძალიან დავიღალე, როცა ოქროსფერი გარსით მოცული წითელი ბურთივით სხეული დავინახე. ვერ ავხსნი, როგორ, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი მოძრაობის მიზანი იმ სხეულში შეღწევა იყო. უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და გარსს ვეცი. მხოლოდ ოდნავ შევარხიე. უკან დავიხიე, ამოვისუნთქე და ისევ შევუტიე. ცოტა კიდევ შევარხიე, მაგრამ ვერ გავარღვიე და მივხვდი, რომ ამის ძალა არ შემწევდა და მოვეშვი. მოვეშვი თუ არა, სრულიად დაუძლურებულმა ნელ-ნელა დაბლა დაშვება დავიწყე და გული დამწყდა, რომ ასე მიზანმიუღწევლად ვიღუპებოდი. თანაც ვერ გამეგო, რატომ ხდებოდა ასე? ვიყავით ჩვენთვის, ვნარნარებდით. რატომ აგვტეხეს, გაგვახელეს, გამოგვაგდეს? - იმიტომ, რომ დავღუპულიყავით? ამ ფიქრებში დავეცი არხის კედელს. ტალღამ ისევ მრგვალი სხეულისკენ გამტყორცნა. ცოტა იმედი მომეცა, მაგრამ თავად არაფრის თავი აღარ მქონდა და იქამდე ვერ მივაღწიე. ისევ დავეშვი კედელზე, ისევ გავიტყორცნე და მხოლოდ ის ვიგრძენი, რომ მესამე გატყორცნას ველარ გავუძლებდი. გამეცინა. ბედს დავნებდი და მხოლოდ იმდენი ძალა მოვიკრიბე, რომ წარმომედგინა, რა მომივიდოდა სიკვდილის შემდეგ. ჩემი წარმოდგენები ხმაურმა გაფანტა, რომელიც თანდათან მიახლოვდებოდა. უკან მივიხედე და ჩემი და-ძმები დავინახე. ერთად შეჯგუფულიყვნენ და ჩემსკენ მოდიოდნენ. ის-ის იყო კედელს უნდა დავცემოდი, რომ ამიტაცეს და მრგვალი სხეულისკენ გამაქანეს. ძალიან ბევრი ვიყავით და ამ უსაზღვრო ენერგიაში ძალა მეც მომეცა. ჟივილ-ხივილით შემოვეხვიეთ და ყველა ერთად მედგრად ვეკვეთეთ სხეულს, მაგრამ მე საქმე სხვებზე ადრე მქონდა დაწყებული და ისევ ყველას დავასწარი. გარსი გავხვრიტე და სხეულში შევაღწიე.

ბურთი სავსე იყო ჩემთვის მშობლიური გარემოთი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს, მელოდებოდნენ, მაგრამ ამ სიამოვნებას აკრთობდა ის ფაქტი, რომ ჩემი და-ძმები სადღაც გარეთ დარჩნენ. უფრო მეტიც, ისევ ჩემთვის აუხსნელი გუმანით ვგრძნობდი, რომ ისინი დაიღუპნენ, სიცოცხლე გასწირეს იმისთვის, რომ მე მიზნისთვის მიმეღწია. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა იყო ეს მიზანი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაც დიადი უნდა ყოფილიყო, რახან ამდენი, ასი ათასობით ჩემი და-ძმის თავგანწირვა დასჭირდა. მართალია, ეს თავგანწირვა რაღაც მხიარულ, ამაღლებულ ფონზე მოხდა, რაც სიკვდილის ნიშანს გამორიცხავდა, მაგრამ მაინც მომადგა ცრემლი, რომლის გადმოგდება ველარ მოვასწარი - ის დიადი დაიწყო.

უცებ გარემო შეიცვალა, დამშვიდდა, ჩაწყნარდა და ნელ-ნელა განათება დაიწყო, თითქოს რაღაც უხილავი ძალა დირიჟორივით ჰარმონიულად მართავს ყველაფერსო. სინათლე თანდათან უფრო კაშკაშდებოდა და მრგვალ სხეულში შემოდიოდა. წარმოუდგენელი იყო, როგორ ეტეოდა ამდენი ერთ ციდა ბურთულაში. ეს იყო სინათლე, რომელსაც ნეტარება მოჰქონდა და გვავსებდა მეც და მთელ მრგვალ სხეულსაც. თითქოს აღარც შეგვეძლო მისი დატევა, მაგრამ მაინც მოდიოდა და მოდიოდა, შემოდიოდა და შემოდიოდა. მეც ვიშლებოდი და ვიხსნებოდი, რომ უფრო და უფრო მეტი დამეტია. იმდენი ნეტარება მივიღე, მეგონა, თავად გადავიქეცი ერთ პატარა სინათლისა და ნეტარების სხივად. მერე ვიგრძენი, როგორ გამოჩნდა ჩემში შენახული ქრომოსომთა განძი, რომელიც, როგორც ბუდეში, ისე ჩაჯდა ადგილობრივ ქრომოსომთა მწკრივში და გაბრწყინდა. დაიწყო სხეულის ჩამოყალიბება და სულის შთაბერვა. რაც უფრო ყალიბდებოდა სხეული, მით უფრო ბრწყინდებოდა ნაერთი სულით. ცოტაც და ბოლომდე გადავიქეცით ერთ მთლიან სულიერ არსებად. განაყოფიერება დამთავრდა, სინათლე წავიდა, დაგვრჩა მეხსიერება და მოძრაობის უნარი. დავიძარით ზევითკენ, როგორც კოსმოსური ხომალდი ამოუცნობ ვარსკვლავისკენ. თუმცა, უკვე შემიძლია, მხოლობითში ვისაუბრო, ვინაიდან ჩვენ ერთ სრულყოფილ სულიერ სხეულად ჩამოვყალიბდით.

ჩემი შორეული ვარსკვლავი ძალიან ახლობელი გამოდგა. მიმიღო როგორც დედამ შვილი და მე აღმოვჩნდი ერთ დიდ, ნათელ, გამთბარ სფეროში, რომელიც გამჭვირვალე გლობუსს ჰგავდა თავისი სისხლძარღვთა მდინარეებით, ლორწოვანი გარსის ზღვებით, კვანძოვანი მთებით და ნაოჭიანი რელიეფით. უკანასკნელად გავინავარდე, ერთი წრე დავარტყი და ჩემთვის განკუთვნილ ადგილს მივეწებე. დავიწყე კვება და ზრდა.

თავდაპირველად ყოველი დღე სიმშვიდითა და მშვენიერებით ჰგავდა ერთმანეთს. ჩემს გლობუსისნაირ სფეროში ძალიან კარგი ამინდები იდგა. თითქოს, სითბო და სინათლე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავთავიანთი საუკეთესო თვისებების გამოვლენაში, მზე-დედაჩემი კი უხვად იმეტებდა მათთვის უშრეტ ენერგიას რომ გავეთბე, გავენათებიე, გამოვეზარდე. ზღვის დამამშვიდებელ მოქცევასავით მსიამოვნებდა ჩემში შემომავალი საზრდელის ყოველი ტალღა. უდრტვინველობა ჩემი ნორმალური მდგომარეობა გახდა და მხოლოდ ის მაღელვებდა ონავარი ცნობისმოყვარეობის პაწაწკუნტელა ემოციით, თუ როგორი იქნებოდა დაბადება. როგორი იქნებოდა ქვეყნიური მზე, სითბო და სინათლე.

მაგრამ როგორც კი წამოვიზარდე, ხრტილები გამიმაგრდა, ადამიანის ფორმები გამომეკვეთა და დედამაც იგრძნო ჩემი არსებობა და ჭექა-ქუხილიც დაიწყო. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ყველაფერი თავზე მენგრეოდა. ჩემი გლობუსი მოიქუფრა, გაუფერულდა, მთლად გაწითლდა და დაიხუთა. განსაკუთრებით მაშინ მიჭირდა, როცა დედა ნერვიულობდა და ყვიროდა. ამ დროს სისხლის მოჭარბებისგან საშვილოსნოს კედლები სივდებოდა, მუქდებოდა, მაბნელებდა და ყოველი მხრიდან მიჭერდა, თითქოს მგუდავდა. ცხვირი, ყურები და თავი მიგუბდებოდა და მეგონა გასკდებოდა. ჭიპლარი იკუმშებოდა და მაშიმშილებდა. ასეთი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო გახშირდა და ვგრძნობდი, რომ რაღაც საშინელება მელოდა. ეს დღეც დადგა.

დედა ცოტა ხნით იდგა აბორტის რიგში. აღარც ყვიროდა და აღარც ხმას იღებდა, მაგრამ ჩემი ნათელი სფერო-საშვილოსნო ისე იმღვრეოდა, შიშით გული მისკდებოდა. მერე გავიგე კარების რახუნი, რკინების ჩხრიალი და სიცივე. რკინა ფეხზე მომედო. ავიწიე, ავიწიე მაღლა, მაგრამ ჩემი რბილი სახლი ისე დანაოჭებულიყო, გაუხეშებულიყო, არ შემიფარა და ველარსად წავედი. ის რკინა კი თავს არ მანებებდა, მომდევდა და მეორედ მომედო ფეხზე, ბარძაყში ჩამტეხა, ჩამჭრა და ფეხი მომაგლიჯა. მომაკვდინებელ ტკივილზე უფრო დიდი ტანჯვა იყო იმ სისხლიანი რკინის მეორედ დანახვის შიში. მე ხომ განძრევა და ბრძოლა, თუნდაც უშედეგო, აღარ შემეძლო. უფრო საზარელი იყო ტკივილნარევი ფიქრი - დიდებულად და ბრწყინვალებით ჩასახულ სიცოცხლეს რატომ მკლავდნენ ასე საშინლად. რატომ მსპობდნენ ასე ფხეკა-ფხეკით? ისევ გამოჩნდა ის საშინელი რკინის კოვზი. ცოცხალმკვდარი ვიყავი, მაგრამ როცა ჭრილობაზე გამეხახუნა, სიმწრით მაინც შევხტი, გავიწიე და ხელები დავახვედრე. უცებ ერთბაშად მომისვა ორივეზე და მტევნები წამაწყვიტა. მეგონა, გონს დავკარგავდი და ტკივილს ველარ ვიგრძნობდი, მაგრამ მეორე ფეხის მოგლეჯაც ცხადად განვიცადე. რა აზრი ჰქონდა, მაგრამ მაინც აღმომხდა, - დედა, მიშველე! ეს იყო ჩემი უკანასკნელი მოძრაობა. ამის შემდეგ რკინის მარწუხი მომიჭირეს და ჭიპლარი - ჩემი სიცოცხლის არხი - საშვილოსნოს მოაგლიჯეს.

აქ ჩემთვის კიდევ ერთი მოულოდნელობა მოხდა. როცა ჩემი ნაწამები, დაფლეთილი სხეული გარეთ გამოაბორტეს, იმ მრგვალ სხეულში შემოსული სინათლით მოყვანილი სულით ხორცს გამოვეყავი და მაღლა ავიწიე. მსუბუქი და უხილავი გავხდი. დავინახე, როგორ ჩარეცხეს ჩემი ნაწამები ხორცი კანალიზაციაში, მაგრამ ფიზიკური ტკივილი აღარ მიგრძვნია. თუმცა, არც ისეთი სიმშვიდე განმიცდია, ბუნებრივად გარდაცვლილი ადამიანების სულებს რომ ეუფლებათ, თურმე, საკუთარი მძორის დანახვისას.

მერე რაღაც გრძელი მილი გამოჩნდა და აღმასვლა დავიწყე. ერთი კი ვიფიქრე, უკან ხომ არ ვბრუნდები-თქო, მაგრამ ეს სულ სხვა მილი იყო და უკანაც არავინ მომდევდა. შორს სინათლე ჩანდა. მეგონა მილს გავივლი და იმ სინათლეს მივუახლოვდებოდი, მაგრამ თავი სიბნელეში ამოვყავი და გავჩერდი. სამწუხაროდ, წინ ველარ წავედი და ამით დამთავრდა ჩემი გარდაცვალება. მოვხვდი სადღაც სამოთხისა და ჯოჯოხეთის შუა ადგილას, სადაც არც სამოთხის სითბო და სინათლე აღწევდა და არც ჯოჯოხეთის მტანჯველობისა და კბილთა ღრჭენის გოდება. აქ მრავლად არიან ჩემნაირი საბრალო სულები, რომლებსაც მშობლებთან და საზოგადოებასთან დაკავშირებით ძალიან არ გაგვიმართლა.

***

ფიქრის მეტს რას ვაკეთებთ აქ ამ გაუთენებელ ღამეში და უნდა მოგახსენოთ, რომ გონებრივი სიბნელის მართლაც ეშმაკისეული გამოვლინებაა, ადამიანთა ყველაზე უსუსური და უმანკო ნაწილის ჯალათად რომ ქცეულან: დედა - სიცოცხლის მფარველობისთვის შექმნილი არსება, ექიმი - სიცოცხლის სამსახურში მდგომი პროფესიის ადამიანი, ცივილიზებული საზოგადოება - პიროვნული უფლებების დასაცავად შეკრებილი ერთობა და თანამედროვე სახელმწიფო - ამ სამი სუბიექტის იდეური საქმიანობის გარანტორი ინსტიტუტი. რატომ ეშმაკისეული? - სულიერ არსებათაგან ეშმაკი პირველი იყო, ვინც მესია იცნო, შიშითაც შეძრწუნდა მის წინაშე, რადგან იცის, რომ ბოროტებისათვის ჯოჯოხეთი ელოდება, მაგრამ ბოლმისგან გონება აქვს დაბნელებული და მაინც ბოროტობს.

მთელი კონსტიტუციები და კანონთა ტომებია შექმნილი ადამიანის უფლებების და სიცოცხლის დასაცავად. საერთაშორისო სამართლითაც სჯიან ჯიუტ ქვეყნებს, თუკი იქ, მაგალითად, სხვანაირად მოაზროვნე ადამიანებს შეავიწროებენ. სრულიად უდანაშაულო ბავშვების მკვლელობა კი მიღებულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია, კოვზით გამოფხეკა - დაშვებული. პირველი საქციელი სწორია, მეორე - ჯოჯოხეთური დანაშაული, მაგრამ ორივეს ერთი და იგივე საზოგადოება სჩადის ერთსა და იმავე დროს. ზეცივილიზაციის პირობებში სამართლიანი ლოგიკა მთლიანად შეუსანსლავს საზარელ ალოგიკურობას. შედეგად მარტო საქართველოში წელიწადში 30 ათასი აბორტი კეთდება, 30 ათასი მკვლელობა. მკვლელობა კი აკრძალულია და ნუ დაიბრმავებთ თვალებს, თითქოს მუცლადმყოფ ადამიანებს ვერ ამჩნევდეთ. ამით თქვენ ამქვეყნიური და იმქვეყნიური სინათლის ხილვის ღვთივბოძებულ უფლებას გვართმევთ. ეს სატანასთან მოკავშირეობას და ღმერთთან ომს ნიშნავს. ჩვენზე უარესად დაისჯებით, თუკი ზავს არ დადებთ - აბორტი უნდა აიკრძალოს.

ამასთან დაკავშირებით, აქვე შემოგთავაზებთ საქმიან და სრულიად არაუტოპიურ წინადადებასაც.

აბორტი უნდა აიკრძალოს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული - განზრახ მკვლელობა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში.

უნდა შეიქმნას სახელმწიფო-საზოგადოებრივი კომისია რეგიონების მიხედვით, შემდგარი იურისტებისგან, ექიმებისგან, ფსიქოლოგებისგან, სოციოლოგებისგან და სხვა სპეციალისტებისგან, სადაც გაიგზავნება ყოველი დედა, რომელიც ქალთა კონსულტაციაში აბორტის გაკეთების სურვილს გამოთქვამს. კომისიამ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს სასოწარკვეთილებაში მყოფი ქალის მდგომარეობა და შეუქმნას მას ყოველგვარი პირობა ბავშვის გაჩენისათვის. თუკი ეს ოჯახურ პირობებში შეუძლებელია, უნდა არსებობდეს სპეციალური პანსიონატები, ასევე რეგიონების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში ანონიმური მშობიარობისთვისაც, სადაც მშობიარობა, კვება და ყოველგვარი სამედიცინო მომსახურება იქნება უფასო. თუკი დედას არ შეუძლია ბავშვის გაყვანა და აღზრდა, მაშინ იგი უნდა იშვილოს სახელმწიფომ და აღზარდოს ასევე სპეციალურ რეგიონულ სკოლა-პანსიონატებში. მისცეს განათლება, სპეციალობა ნიჭის მიხედვით და გახადოს სოციალურად კონკურენტუნარიანი მოქალაქე.

ბიუჯეტი უნდა შედგეს საზოგადოების სოლიდარობის ხარჯზე. ამისათვის უნდა დაწესდეს ანონიმური მშობიარობისა და უდედ-მამოთა აღზრდის გადასახადი ყოველი დასაქმებული ადამიანისათვის, ვთქვათ, შემოსავლის ერთი პროცენტის ოდენობით. ეს თვეში შეადგენს ასობით მილიონ ლარს, რაც საკმარისზე მეტიც იქნება იმისთვის, რომ საქართველოში ბავშვთა მკვლელობა - ქვეყნის ეს დამანგრეველი ცოდვა შეწყდეს.

მაგრამ სანამ ეს მოხდება, ნუღარავის გამოუშვებთ ჩვენთან, დედებო, ჩვენო მზეებო!

# სპორტი

## მალხაზ ასათიანი: "ჯანო ანანიძე სეზონის მთავარი აღმოჩენაა"

"მუდამ გულღია, გულახდილი, მოღიმარი ქართველი მედიასთან ურთიერთობაზე არასდროს არ ამ ამბობს უარს. "ნუთუ "ლოკოში" მე ვარ ყველაზე რუსულენოვანი?" - გვეტყვის ხოლმე ხუმრობით. არადა, ქართველი მცველისთვის სეზონი ცუდად დაიწყო. რაშიდ რახიმოვმა ის "ლოკომოტივის" შეკრებაზე არ წაიყვანა, კიევის "დინამოში" იჯარით გადასვლაზე მოლაპარაკება გაიწელა. სამაგიეროდ მოსკოვში მისი დაბრუნება გამოდგა წარმატებული. ასათიანმა მეორე წრის თითქმის ყველა მატჩი ძირითადში ითამაშა და მწვრთნელსაც გაუმართლა იმედი," - ასეთი შესავალი აქვს გაზეთ "სპორტ ექსპრესში" მალხაზ ასათიანთან გამოქვეყნებულ ინტერვიუს.

**- მალხაზ, ბანქოს თამაში იცით?**

- არა. ბავშვობაში ვთამაშობდი. ახლა კი არ გამომდის. ეტყობა, დამავიწყდა.

**- მუჯირი და დიუმოვიჩი რომ თამაშობენ, არ უერთდებით?**

- არა. მხოლოდ ვუყურებ.

**- ვის გულშემატკივრობთ?**

- ლამაზ და პატიოსან თამაშს.

**- ბევრს მიაჩნია, რომ ვლადიმირ ბისტროვთან ერთად რუსეთის ჩემპიონატის მთავარი ჯოკერი ბრძანდებით. ამაზე რას იტყვით?**

- აი, თურმე რატომ დაიწყო ჩვენი ინტერვიუ ბანქოზე საუბრით...

**- ამ კითხვას ვამზადებდი. წინა ჩემპიონატიდან ვის გამოყოფდით?**

- ჯანო ანანიძეს. ის ჩემპიონატის აღმოჩენაა. 17 წლის ასაკში ასეთ ფეხბურთს ბევრი ვერ ითამაშებს. არც ისე ბევრი მატჩი ითამაშა, მაგრამ ყველასგან გამოირჩეოდა.

**- იცნობთ?**

- ადრე მის თამაშს თვალს ვადევნებდი და ვქომაგობდი კიდეც. "სპარტაკისა" და "ლოკომოტივის" თამაშზე კი გავიცანი.

**- ახლა შვებულებაში ხართ. რას აკეთებთ?**

- საქართველოში ვარ და ვისვენებ. ახალ წელს ველოდები.

**- როგორ აღნიშნავთ ახალ წელს?**

- ტრადიციულად. გავშლით სუფრას, დაველოდებით ღამის 12 საათს და დავიწყებთ სროლას.

**- სროლას?**

- ჰო, სროლას. რა გაგიკვირდათ?! ავტომატით კი არ ვაპირებთ, უბრალოდ, ნათესავ ბავშვებთან ერთად ფოიერვერკებს მოვაწყობთ.

**- ახალი წლის შემდეგ სამედიცინო შემოწმება და შეკრებაა. შარშან სულ სხვა ვითარება იყო, არა?**

- დიახ. მაშინ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ახლა ყველაფერი რიგზეა.

**- შარშან რახიმოვმა თუ აგიხსნათ, რატომ არ მიჰყავდით შეკრებაზე?**

- არა. თუმცა, ჯობია წარსულს შევეშვათ. რაც იყო, იყო. ახლა ყველაფერი კარგადაა. რა თქმა უნდა, შარშან კარგად არ მომექცნენ, მაგრამ რას იზამ. ასეთი რამ ფეხბურთში ხშირია.

**- ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: კიევში მოგიხდათ ცხოვრება. მართალია, რომ ღორის ქონი შეგიყვარდათ?**

- არა. უბრალოდ, უკრაინულ სამზარეულოზე რომ მეკითხებიან, პირველად სწორედ ღორის ქონი მახსენდება, ისევე როგორც ქართულ სამზარეულოზე საუბრისას - მწვადი და ხაჭაპური, ხოლო რუსულზე - ბორშჩი.

**- ნუთუ ქონი სულ არ მოგეწონათ?**

- როგორ არა, საკმაოდ ბევრიც გეახელით. თანაც, კიევი ჩემთვის ახალი ქალაქი არ არის. მეგობრებთან ერთად ხშირად ჩავდიოდი, ხოლო როდესაც თბილისი-მოსკოვის რეისები გააუქმეს, სწორედ კიევის გავლით მიწევდა მგზავრობა. ასე რომ, კიევი ჩემთვის ნაცნობი ქალაქია. ჩემს გადასვლაში კი სხვა რამ არის მთავარი. "დინამოში" ბრწყინვალედ მიმიღეს. იმ დროს მე მჭირდებოდა გუნდი, რომელშიც მაგრძნობინებდნენ, რომ მე მათ გამოვადგები და კიევში სწორედ ეს ვიგრძენი.

**- ესე იგი, გარკვეული თვალსაზრისით ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი გაიარეთ.**

- დიახ. ასეც შეიძლება ითქვას.

**- უკრაინის ჩემპიონატის მედლებს სად ინახავთ?**

- არსად, რადგან ჯერ არ მიმიღია. იმედია, როგორმე წამოვიღებ. მოკლედ, ცხადია, რომ კიევს მალე ვესტუმრები.

**- რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავეთ. ამან გაგახარათ თუ გული დაგწყვიტათ?**

- ვფიქრობ, წლევანდელი შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ. თავადაც იცით, რა მდგომარეობაში იყო "ლოკო", სანამ გუნდში სიომინი დაბრუნდებოდა. მაშინ ჩვენთვის ვინმეს მეოთხე ადგილი რომ შემოეთავაზებინა, უყოყმანოდ დავთანხმდებოდით. მეორე მხრივ, ჩემპიონატის მეორე ნახევარში ყველაფერი კარგად აეწყო, მედლებთან ახლოს ვიყავით და დასანანია, რომ სამეულში ვერ მოვხვდით. ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა სრულიად განსხვავებული ტურნირებია. მომავალ სეზონში ჩვენთვის მეოთხე ადგილი წარუმატებლობა იქნება.

**- ევროპის ლიგაში რომელი ქვეყნის გუნდებთან ისურვებდით თამაშს?**

- თამაში თბილ ქვეყნებში მინდა, მაგალითად, ესპანეთში.

**- საახალწლოდ რა სურვილს ჩაუთქვამთ?**

- მშვიდობა, სამყარო ომების გარეშე, ისეთი ომების, როგორიც გასულ წელს იყო.

**- ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი მიღწევები?**

- მთავარია, რომ შენს ოჯახში ყველაფერი კარგად იყოს, ოჯახის წევრები გყავდეს ბედნიერი და ჯანმრთელი. მაგრამ თუ მსოფლიოში სიმშვიდე არ იქნება, ამის მიღწევა შეუძლებელია. 18-19 წლის ასაკში ცრურწმენები მქონდა - ჩავიფიქრებდი, რომ კარგად მეთამაშა. ასაკის მატებასთან ერთად ვხვდები, რომ პროფესიულ კარიერაში მარტო საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს. მეორე მხრივ, ისიც გესმის, რომ ყველაფერი შენზე არ არის დამოკიდებული, ზოგი რამ შენგან დამოუკიდებლად ხდება.



*მალხაზ ასათიანი - რუსეთის ჩემპიონატის მთავარი ჯოკერი*

## ქართველთა მოკრძალებული მონაგარი

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ მატჩში "ატლანტა ჰოუქსმა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" ჩიკაგოელ "ხარებს" უმასპინძლა და მეტოქე ანგარიშით 118:83 დაამარცხა. "ქორების" ამ გამარჯვებაში არც ისე დიდი იყო ზაზა ფაჩულიას წილი.

15 წუთში 1 ქულა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება და 4 მოხსნა - აი, მისი მონაგარი.

მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გაირკვა, როცა ატლანტელების უპირატესობამ 30 ქულას მიაღწია და სათადარიგოთა ჯერი დადგა. გამარჯვებულის ვინაობა ცნობილი იყო და ორივე გუნდმა მოედანზე დუბლიორები შეუშვა.

ქართველი ცენტრისთვის ასეთ მატჩშიც კი არ მოინახა მის საშუალო სათამაშო დროზე მეტი - ზაზა ყველა მატჩში შედის შეცვლაზე, ახლა კი "ატლანტას" ისეთმა მოთამაშეებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც საერთოდ არ გამოდიან ხოლმე მოედანზე - ჯეისონ კოლინსი და რენდოლფ მორისი.

ფაჩულიამ 15 წუთში მხოლოდ ერთხელ შეუტია თამაშიდან, მაგრამ არაზუსტად, ის 1 ქულა კი საჯარიმოს ხაზიდან შეიმატა.

ამ გამარჯვებამ ატლანტელებისთვის საკუთარ სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში არაფერი შეცვალა - "ქორები" ისევ "ორლანდოს" ზურგს უკან არიან. რაც შეეხება აღმოსავლეთის კონფერენციას, ფაჩულიას გუნდმა ამ დილას ჰიუსტონში დამარცხებულ ლებრონ ჯეიმსის "კლივლენდს" გაასწრო და აღმოსავლეთში მესამე ადგილზე გამაგრდა.

ევროლიგის გათამაშების მორიგ ტურში გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსი" რუსეთს ესტუმრა და "ხიმკის" დაუპირისპირდა. რუსული გუნდი საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად თამაშობს, თუმცა "პაომ" თითქმის შეუძლებელი შეძლო და თამაშიც მოიგო.

ბერძნული გრანდი მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთს შვიდქულიანი ჩამორჩენით შეხვდა, საფინალო სასტვენმა კი ტაბლოზე ანგარიში 73:73 დააფიქსირა და თამაში გადავიდა დამატებით ტაიმში, რომელიც შერმადინის გუნდმა ხუთქულიანი უპირატესობით მოიგო. მატჩი საბოლოო ანგარიშია 87:82 ბერძნული გრანდის სასარგებლოდ.

"პანათინაიკოსის" სერბმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა შერმადინისთვის მე-3 და მე-4 მეოთხედების ზღვარზე ხუთი წუთი გაიმეტა. გიორგიმ ერთი ორქულიანი ააცილა და მხოლოდ 2 მოხსნასა და 1 დაფარებას დასჯერდა.

### მსოფლიოს, ევროპისა და აზიის ჩემპიონი მწვრთნელი თბილისში სემინარს გამართავს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოწვევით, თბილისში ჩამოდის მსოფლიო დონის ცნობილი სერბი მწვრთნელი, მრავალგზის საკლუბო და სანაკრებო ტიტულების მფლობელი ვესელინ მატიჩი.

მატიჩს არაერთ კლუბსა თუ ნაკრებში უმუშავია. არის მსოფლიოს (ასისტენტის რანგში), ევროპისა (ასისტენტის რანგში) და აზიის ჩემპიონი. ეს ტიტული სერბმა მწვრთნელმა რამდენიმე თვის წინ მიიღო, როცა ირანის ეროვნული გუნდი აზიაში ჩემპიონი გახადა.

ვესელინ მატიჩი თბილისში სამწვრთნელო სემინარს გამართავს. 13 დეკემბერს, თითქმის მთელი დღის განმავლობაში, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მატიჩი ქართველ მწვრთნელებს საკალათბურთო ვარჯიშების შესახებ ტრენინგს ჩაუტარებს. იგეგმება, რომ ამ ღონისძიებას დაესწროს ყველა ის მწვრთნელი, რომელიც ახალგაზრდებში მუშაობს. თუმცა, სერბი სპეციალისტის სემინარებისას დიღმის ბაზის კარი ღია იქნება ნებისმიერი, მათ შორის, გამოცდილი მწვრთნელებისთვისაც.

### ეს უპატივცემლობაა

ასე ფიქრობს წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, "ოქროს ბურთის" მფლობელი მათიას ზამერი იმაზე, რაც "ოლიმპიაკოსისა" და "არსენალის" მატჩში არსენ ვენგერმა გააკეთა. საქმე ის არის, რომ "არსენალს" მძიმე საკადრო პრობლემები აქვს. გუნდის ძირითადი ფეხბურთელების დიდ ნაწილს ტრავმები აქვთ და "ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში, რომელშიც ვენგერს არავითარი სატურნირო მოტივაცია არ ჰქონდა, ფრანგმა გურუმ თითქმის ბავშვები გამოიყვანა მინდორზე. "არსენალის" განაცხადს რომ გადაავლოთ თვალი, ვერც ერთ ნაცნობ გვარს ვერ ნახავთ.

"გასაგებია, რომ "არსენალს" ამ თამაშში სატურნირო მოტივაცია არ ჰქონდა, მაგრამ ვენგერმა სათამაშოდ საბავშვო ბაღის ბავშვები გაიყვანა. უეფა ამას არ კრძალავს, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს ტურნირისადმი პატივისცემა. ეს ჩემპიონთა ლიგაა და ვენგერის საქციელს ვერ გავამართლებ. ჩემი აზრით, მან ამით ჩემპიონთა ლიგისადმი უპატივცემულობა გამოხატა", - აცხადებს ზამერი.

### დაამტკიცეთ და დაგიჯერებთ!

დაახლოებით ასე შეიძლება აიხსნას უეფას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის რობ ფლოკნერის სიტყვები, რომლითაც მან მოსკოვის ცსკას მიმართა.

არმიული კლუბის ორ ფეხბურთელს - ალექსანდრ ბერეზუცკის და სერგეი იგნაშევიჩს სისხლში აკრძალული პრეპარატების კვალი აღმოუჩინეს. ფეხბურთელებს დოპინგის მიღება ბრალდებათ და თუ ეს დამტკიცდა, ცსკას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოხსნიან. რუსული კლუბის მესვეურები ირწმუნებიან, რომ ფეხბურთელებს მიღებული ჰქონდათ წამალი, რომელიც აკრძალულ პრეპარატს შეიცავს.

"თუ გუნდის ექიმმა ფეხბურთელს რაიმე წამალი გამოუწერა, მაგალითად, გაციების საწინააღმდეგო, რომელიც შეიცავს აკრძალულ პრეპარატს, ექიმმა უნდა შეავსოს სპეციალური ფორმულარი, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რა წამალზეა საუბარი, როდის დალია ეს წამალი ფეხბურთელმა და რატომ. თუ ასეთი დოკუმენტაცია არსებობს, ფეხბურთელს დოპინგის მიღებას არავინ დასდებს ბრალად. ცსკას მესვეურები გვარწმუნებენ, რომ ექიმს დაავიწყდა ამ ფორმულარის შევსება. ასე რომ, თუ ცსკას მესვეურები დაამტკიცებენ, რომ სიმართლეს ამბობენ, პრობლემა არ იქნება. ახლა ზუსტად ვერ ვიტყვი, რა სანქციები ემუქრება რუსულ გუნდს. ვიმეორებ: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მტკიცებულებებს წარმოადგენენ ცსკას წარმომადგენლები საქმის განხილვაზე", - აცხადებს ფლოკნერი.

ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უეფა არავითარ შემთხვევაში არ მოკვეთავს ცსკას გათამაშებიდან. უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ორ ფეხბურთელს დასჯის. თუმცა, ჯობს დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ამ საქმეს სულ რაღაც ერთ კვირაში განიხილავენ.

## მასკერანომ კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა

"ლივერპულის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მასკერანო ვალდებულია კიდევ ორი სეზონის განმავლობაში დარჩეს მერსისაიდულ კლუბში.

"მე "ლივერპულის" ფეხბურთელი ვარ. მწვრთნელის სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც ამბობს, რომ კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა გავატარო გუნდში. გავალ მინდორზე და ვითამაშებ. მეტს ვერაფერს გეტყვით", - ასე უპასუხა არგენტინელმა ჟურნალისტს, რომელმაც ფეხბურთელს ჰკითხა, თუ რა მიზეზით არ გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი. დიდი ალბათობით, მასკერანო მალე დატოვებს მერსისაიდულ კლუბს - კარგა ხანია არგენტინელის გადაბირებას "ბარსელონა" ლამობს.

## კატალონიური დერბი - მესის გარეშე

კიევის "დინამოსა" და "ბარსელონას" მატჩში გამარჯვების გოლის გამტანი მესი ესპანეთის ჩემპიონატის მომავალ ტურში გასამართ კატალონიურ დერბის გამოტოვებს. კიევურ შეხვედრაში "ბარსელონას" ვარსკვლავმა ტრავმა მიიღო. კატალონიელი ექიმების თქმით, "ესპანიოლთან" მისი თამაში გამორიცხულია.

## სკოლარის პროგნოზი

ახლო წარსულში ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელმა, "ჩელსიდან" დათხოვნილმა და ტაშკენტის "ბუნედკორში" გადაბარგებულმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა. სკოლარის აზრით, ეგრეთ წოდებული სიკვდილის ჯგუფიდან (ბრაზილია, პორტუგალია, კოტ დ`ივუარი, ჩრდილო კორეა) შემდეგ ეტაპზე ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები გავლენ.

"თუ ბრაზილიის ნაკრებზე ვსაუბრობთ, ეს არის გუნდი, რომელშიც მსოფლიოს ყველა საუკეთესო ფეხბურთელია თავმოყრილი. პორტუგალიაც ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებად ითვლება. აშკარაა, რომ ამ ჯგუფში სწორედ ეს ორი ნაკრებია უძლიერესი, ჩრდილო კორეა და კოტ დ`ივუარი კი შეეცდებიან, მათ ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ. ჩემი აზრით, ჯგუფიდან პორტუგალია და ბრაზილია გავლენ," - აცხადებს სკოლარი.

## რიბერი ˝რეალზე˝ არ ფიქრობს

დიდი ხანია არსებობს ჭორები ფრანკ რიბერის "რეალში" შესაძლო გადასვლის თაობაზე. ზაფხულის შემდეგ ამ თემაზე საუბარი ოდნავ განელდა, თუმცა ჭორების ახალი ტალღა ზინედინ ზიდანისა და ფრანკ რიბერის პირადმა შეხვედრამ წარმოშვა. ზიდანი "რეალში" მუშაობს და არ მალავს, რომ რიბერის გადაბირება სურს, თუმცა, ხსენებულ შეხვედრაზე ამაზე არ უსაუბრიათ. "ნუთუ არ შეიძლება რიბერის შევხვდე, როგორც უბრალოდ მეგობარს! მერწმუნეთ, ტრანსფერზე არ გვისაუბრია", - აცხადებს ზიდანი.

თავის მხრივ, შესაძლო ტრანსფერს რიბერიც უარყოფს. "უამრავი ჭორი გავიგე. ჩემს მიმართ "რეალისა" და "ჩელსის" ინტერესის შესახებ ყოველდღე გაზეთებში ვკითხულობ. მე ერთი მიზანი მაქვს: "ბაიერნთან" ერთად წარმატებულად გავაგრძელო თამაში," - აცხადებს რიბერი.

## მექსე ˝რომას˝ ვერ დაეხმარება

იტალიური "რომას" ფრანგი მცველი ფილიპ მექსე დედაქალაქური გუნდის უახლოეს სამ მატჩს გამოტოვებს. მექსემ რომაული დერბის დროს მიიღო ტრავმა. ექიმების განცხადებით, 2009 წელს ის ვეღარ ითამაშებს.

## ˝ატალანტას˝ ˝ღორის გრიპმა˝ შეუტია

იტალიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსოფლიოს მოდებული H1N1, იგივე "ღორის გრიპით" ინფიცირებულთა რიცხვს "ატალანტას" რამდენიმე ფეხბურთელიც შეუერთდა: სამი მცველი - ჯანპაოლო ბელინი, პაოლო ბიანკო და მასიმილიანო პელეგრინო. football italia-ს ინფორმაციით, იმისთვის, რომ თანაგუნდელებს დაავადება თავიდან ააცილონ, ინფიცირებული ფეხბურთელები გამოჯანმრთელებამდე დროს სახლში გაატარებენ.

## ვიდიჩი ბრუნდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" სავსე ლაზარეთი ერთმა ფეხბურთელმა დატოვა. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს უბრუნდება ნემანია ვიდიჩი, რომელიც შაბათს "ატონ ვილასთან" მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

# ლოგიკური დასასრული



*ასე თვალდახუჭულმა გაუტანა გოლი "სტანდარდის" მეკარემ "ალკმაარს"*

ოთხშაბათს დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. პლეი-ოფებში ქართველთაგან მხოლოდ კახა კალაძე ითამაშებს. სალუქვაძისა და რევიშვილის "რუბინმა" სასწაულებზე ლიმიტი "ბარსელონასთან" თამაშებში ამოუწრა და "სან სიროზე" "ინტერის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. თუმცა, ყაზანელები ევროპის ლიგაზე გააგრძელებენ ასპარეზობს. შოთა არველაძის "ალკმაარი" კი ევროთასებს დაემშვიდობა. არადა, "სტანდარდთან" გასვლით მატჩში ჰოლანდიური კლუბი მიზანთან ახლოს იყო, ბოლო წუთამდე თამაშსაც იგებდა, მაგრამ სწორედ ის ბოლო წუთი ჰოლანდიელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბელგიელთა მეკარემ ანგარიში გაათანაბრა და ევროპის ლიგაზე, "ალკმაარის" ნაცვლად, "სტანდარდი" ითამაშებს. ოთხშაბათის მატჩებიდან ასევე აღსანიშნავია "ოლიმპიაკოსისა" და "არსენალის" დაპირისპირება. ვენგერმა საბერძნეთში თითქმის საბავშვო ბაღი ჩაიყვანა და, რა გასაკვირია, რომ მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ანტირეკორდებითაც იყო მნიშვნელოვანი. სამშაბათს ჰაიფას "მაკაბიმ" რეკორდი დაამყარა. ამ გუნდმა ჯგუფური ეტაპი ქულისა და გოლის გარეშე დაასრულა. ოთხშაბათს კი ანტირეკორდს შეწვდა "დებრეცენი", რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე 19 გოლი გაუშვა და "ფერენცვაროშსა" და კიევის "დინამოს" გაუტოლდა. ერთმა 1995 წელს გაუშვა ამდენივე, მეორემ კი - 2007-ში.

**ყურბან ბერდიევი ("ყუბანის" მთავარი მწვრთნელი):** "ის, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშეთ, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. სასიამოვნოა, როდესაც თამაში გიწევს "ინტერთან", "ბარსელონასთან", კიევის "დინამოსთან". რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, შარონოვისა და ბუხაროვის არყოფნამ ჩვენს წინაშე მდგარი ისედაც რთული ამოცანა კიდევ უფრო გაართულა. ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა, შედეგმა, ცხადია, გული დამწყვიტა".

**ჟოზე მოურინიო ("ინტერის" მთავარი მწვრთნელი):** "ვფიქრობ, ყველამ უნდა აღიაროს, რომ "ინტერი" დამსახურებულად გავიდა შემდეგ ეტაპზე. შარშანაც ვამბობდი, რომ პლეი-ოფში ძლიერ გუნდთან მირჩევნია დაპირისპირება. ერთი წლის წინ ვთქვი, რომ მეტოქედ "მანჩესტერი" მინდოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ გუნდთან თამაშში ფეხბურთელებს გაორმაგებული მოტივაცია აქვთ. ახლა ვიცი, "ბარსელონას" ვერ შევხვდებით. არის "რეალი", რომლის წინააღმდეგ თამაში ურიგო არ იქნებოდა. ორი ინგლისური გუნდი, ბევრის მიერ შეუფასებელი "სევილია" და "ბორდო". ზუსტად ვერ ვიტყვი, ვინ მინდა მეტოქედ. "ჩელსი"? რადგან ეს კლუბი ჩემი ისტორიის ნაწილია? ეგ კიდევ საკითხავია, ვინ ვისი ნაწილია. ეს მე ვარ "ჩელსის" ისტორიის განუყოფელი ნაწილი. კიდევ ერთ დეტალზე მინდა საუბარი. მეგონა, იტალიაში მხოლოდ შედეგს აქცევდნენ ყურადღებას. ახლა კი გავიგე, რომ ასე არ ყოფილა. გასულ წელს ჩემპიონები გავხდით, წლეულს იტალიის ჩემპიონატის ლიდერები ვართ, გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგას ტურნირის გამარჯვებულმა გამოგვთიშა, წლეულს გავედით ჯგუფიდან, რომელშიც მხოლოდ ჩემპიონები თამაშობენ... ამიხსენით, რატომ მაკრიტიკებენ".

**ვალერი გაზაევი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი):** "ვცდილობდით, ყველა მატჩში უმაღლეს დონეზე გვეთამაშა და ჯგუფური ეტაპის ბარიერი დაგვეძლია, მაგრამ რაღაც არ გვეყო - ცოტა იღბალი, ცოტა ოსტატობა, ცოტა გამოცდილება. ურთულეს ჯგუფში აღმოვჩნდით და გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. ახლა უბრალოდ მეტი არ შეგვიძლია. "ბარსელონას" ვუსურვებ ზედიზედ მეორედ ჩემპიონთა ლიგის მოგებას. ეს პლანეტის საუკეთესო კლუბია".

**ხოსეპ გვარდიოლა ("ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი):** "ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და სწორედ ამ შედეგისთვის ვთამაშობდით. ცხადია, გაგვიჭირდა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ უფრო რთული მატჩები გველის. კიევში ჩამოსვლის დღიდან მეკითხებიან, რატომ ვსაუბრობთ კატალონიურად. მე საპასუხო კითხვას დაგისვამთ: რატომ გიკვირთ? კატალონიური ჩვენი მშობლიური ენაა, ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილი".

**ზიკო ("ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი):** "მადლობას ვუხდი გულშემატკივარს. ამ გამარჯვებაში სწორედ მათ მიუძღვით ლომის წილი. თავიდანვე მოგებაზე დავიწყეთ თამაში და შედეგს მივაღწიეთ კიდეც. ვამაყობ, რომ "ოლიმპიაკოსი" შემდეგ ეტაპზე გავიდა".

**არსენ ვენგერი ("არსენალის" მთავარი მწვრთნელი):** "ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ახალგაზრდებისთვის ეს უდიდესი სკოლა იყო. მარცხის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ბიჭებს გამოცდილება არ ეყოთ. ვიმეორებ: დღეს ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს."

**მანოლო ხიმენესი ("სევილიას" მთავარი მწვრთნელი):** "მისია შესრულებულია. "სევილია" ისევ გავიდა ევროპის საუკეთესო 16 გუნდში. გამოგიტყდებით, დღეს მეტოქისგან მეტ წინააღმდეგობას ველოდი, თუმცა ჩემმა გუნდმა იოლად გაიმარჯვა. რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს - ტურნირის ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არსებობენ."

**ჩეზარე პრანდელი ("ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი):** "ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით. თუმცა, გუნდმა უმაღლეს დონეზე ითამაშა და დამსახურებულად ვართ სატურნირო ცხრილის სათავეში."

**რაფაელ ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი):** "ცხადია, დღეს რთულ ვითარებაში ვიყავით. ისევ გავუშვით გოლი ბოლო წუთებზე და ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ეს მესამედ მოხდა. ასეთ მარცხს ერთადერთი დადებითი მხარე აქვს: მომავალში შევძლებთ სრული კონცენტრაციით ვითამაშოთ ინგლისის ჩემპიონატში. რაც შეეხება აკვილანის, მან დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია. უბრალოდ, ფიზიკურად ჯერ ბოლომდე მზად არ არის."

**დან პეტრესკუ ("უნირიას" მთავარი მწვრთნელი):** "ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ. ჩემმა ფეხბურთელებმა თამაში დაიწყეს მეთერთმეტე წუთის შემდეგ, როდესაც ანგარიში უკვე 3:0 იყო. არადა, რა ხანია ვეუბნები, რომ ნებისმიერ მატჩში პირველი 15 წუთია უმნიშვნელოვანესი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ, ამ მარცხის მიუხედავად, საერთო ჯამში ჩემი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ჯგუფურ ეტაპზე 8 ქულა ავიღეთ და 8 გოლი გავიტანეთ. ჩვენნაირი მოკრძალებული გუნდისთვის ეს ურიგო შედეგი არ არის".

**სინან ბოლატი ("სტანდარდის" მეკარე):** "ვიცოდი, რომ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამი იყო დარჩენილი და დასაკარგი არაფერი გვქონდა. მეტოქის საჯარიმოსკენ გავიქეცი, იქ კი ბურთი თავში მომხვდა და გოლი გავიტანე".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად 2010 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**შესყიდვის ობიექტი –** ჯანმრთელობის დაზღვევა

| ლოტი | დასახელება | აღწერილობა | დაზღვევის პერიოდი |
|---|---|---|---|
| I | ჯანმრთელობის დაზღვევა | არანაკლებ 250 თანამშრომელი | ხელშეკრულების გაფორმებიდან – 31.12.2010 |

**დაფინანსების წყარო:** ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

**აუცილებელი პირობა:**
– ასაკობრივი ზღვარი – ულიმიტო;
– საოჯახო პაკეტში დაზღვევის შესაძლებლობა;
– ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თანამშრომლების (რაოდენობის მიუხედავად), როგორც ინდივიდუალურ ისე საოჯახო პაკეტში დაზღვეულთა, იგივე პირობებით დამატების და გამოკლების შესაძლებლობა
– სადაზღვევო პრემია ერთ თანამშრომელზე თვეში არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს;
– პრეტენდენტებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ მინიმუმ ორი უფრო მეტი ღირებულების პაკეტები (სატენდერო კომისია ასეთ პაკეტებს ალტერნატიულად არ განიხილავს, შესაბამისად, შეფასება მოხდება მხოლოდ ერთი – არაუმეტეს 30 ლარიანი წინადადების. თანამშრომლის სურვილის შემთხვევაში განსხვავებული პაკეტის არჩევისას სხვაობა დაიფარება მათი ხელფასიდან;
– კლინიკების, მათ შორის ამბულატორიული და სტომატოლოგიური კლინიკა, არჩევის თავისუფლება – ასეთ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება მოხდება გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სადაზღვევო კომპანიისათვის წარდგენის საფუძველზე.

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან – 2009 წლის 11 დეკემბრიდან წლის 30 დეკემბრის 17:00 საათამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის (200 (ორასი) ლარის ოდენობის) დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5. მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;
ანგ/ანგარიში – 200122900;
საინდენტიფიკაციო კოდი – 206160606;
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტენდერი №17

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), 2009 წლის 31 დეკემბრის 10 საათიდან 2009 წლის 31 დეკემბრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.

– წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 31 დეკემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.

– პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება (ალტერნატიული წინადადება არ დაიშვება)

– დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
**ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის ან რეაბილიტაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან)** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის)** (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული)

**ფიზიკური პირისათვის:**
**ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის)** (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული)

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
**ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;**
**ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;**
**გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომ კომპანია არ არის შეტანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება)
დ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ

**– საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების ქვეკონტრაქტორებზეც;**

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე.

– სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის (ხელშეკრულების მოქმედების) ვადას.

– იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მათი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

– ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
p
– სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლი-ათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №237 ვასილ გაგნიძე (ტელ 877 55 69 69).

*სატენდერო კომისია*

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# შეკვეთილები



*ორი წლის წინათ რეპერმა 50 Cent-მა ოსკარ დე ლა ჰოიას მეივეზერი წარუდგინა. იგივე შეიძლება გამეორდეს პაკიაოსთანაც*

ბიბა ბურასაშვილი

*კრივის სამყაროს ალბათ ყველაზე პოპულარული ტელეარხის მესვეურებმა, თავისი სამოქმედო გეგმის უკეთ განსასაზღვრავად, საკუთარ კლიენტებს შესთავაზეს, განესაზღვრათ 2010 წლის ყველაზე სასურველი ჩხუბების ერთგვარი ნუსხა. მანამდე კი, საქმის გასამარტივებლად, კენჭისყრაზე გაიტანეს პოტენციურ ორთაბრძოლათა ჩამონათვალი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც, ალბათ, არასდროს გაიმართება.*

კენჭისყრის შედეგებით ირკვევა, რომ გაისად HBO-ს მაყურებელს ყველაზე მეტად სურს იხილოს ფლოიდ მეივეზერი VS მენი პაკიაოს ჩხუბი. ამერიკელისა და ფილიპინელის დაპირისპირებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 82-მა პროცენტმა. მეორე ადგილზეც მეივეზერის მონაწილეობით ჩხუბი აღმოჩნდა: 11 პროცენტი მხარს უჭერს ფლოიდ მეივეზერშეინ მოსლის. მესამეზე კი ხმათა 3 პროცენტით ისეთი ორთაბრძოლა გავიდა, რომელიც არასდროს გაიმართება - ვლადიმირ კლიჩკო VS ვიტალი კლიჩკო.

ძმები კლიჩკოების დაპირისპირებაზე საუბარი არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. ამისთვის უკრაინელებს 100 მილიონსაც სთავაზობდნენ, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ასეთი რამ იმთავითვე განწირული იყო კრახისთვის. ასე რომ, სჯობს დავუბრუნდეთ მეივეზერისა და პაკიაოს ჩხუბს, რომელიც უკვე ითვლება 2010 წლის მთავარ შერკინებად.

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი (40 გამარჯვება, აქედან 25 ნოკაუტით და არც ერთი წაგება) ახლახან HBO-ზე გადაცემა Joe Buck Live-ს სტუმრობდა. რა თქმა უნდა, სიტყვა ჩამოუგდეს ნახევრად საშუალო წონაში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონ მენი პაკიაოსთან (50 გამარჯვება, აქედან 38 ნოკაუტით, 3 წაგება და 2 ფრე) შესაძლო დაპირისპირებაზე (დღევანდელი კალენდრით, მათი დაპირისპირება 13 მარტსაა დაგეგმილი). ოღონდ ბანაკებს შორის მოლაპარაკების დეტალებზე ამერიკელს სიტყვა ვერ დააცდენინეს. სამაგიეროდ, სიამოვნებით ისაუბრა ორთაბრძოლის შედეგზე.

"ვფიქრობ, პაკიაოსგან კარგ ჩხუბს იხილავთ, მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, კრივში ჭიპი მაქვს მოჭრილი. ჩემი დომინანტობა 15 წელია გრძელდება. დღემდე ვერავინ შეძლო ჩემი დამარცხება. ასე რომ, ვნახოთ, როგორ იქნება, - დიპლომატიურად დაიწყო მეივეზერმა, მაგრამ მოგვიანებით ბოლომდე გაიხსნა. - მინდა, რომ კრივის გულშემატკივარს ძალიანაც არ გაუკვირდეს ის, რაც მოხდება რინგზე ჩვენი შეხვედრისას. ახალს არაფერს იხილავთ. მას ნოკაუტიც უგემია და წაგებაც".

გადაცემის წამყვანებმა მეივეზერი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს - ამდენი წლის განმავლობაში დიდების მწვერვალზე ადგილს იმიტომ ინარჩუნებ, რომ ჩხუბში დაცვით სტილს მიმართავო.

"კრივი პოლიციელის მუშაობას ჰგავს: ერთ გასროლას შეუძლია კარიერა დაასრულოს. კრივი სპორტის გუნდური სახეობებისგან განსხვავდება - ეს არის შერკინება ერთი-ერთზე. ვფიქრობ, გონიერი და ინტელექტუალური მოკრივე ვარ. სწორედ ამიტომაა, რომ ამდენი წლის განმავლობაში ელიტურ მოკრივედ ვითვლები. არ დავიღლები გამეორებით: "არაფერია იმაზე კარგი, როდესაც შენს მიბეგვაში ფულს გიხდიან".

ყოველ ოთხშაბათს
"24საათის" ახალი ჩანართი
"ავტოპანორამა"
ავტოინდუსტრიის სიახლეები,
ავტობაზარი, ავტოსპორტი,
ავტოწარმოების ისტორია
ყველაფერი ავტომობილის
შესახებ




GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
აქცია

# თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს

აუქციონს

თელავის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემაზე

| № | ნაკვეთის მისამართი | ფართი (კვ.მ.) | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ალაზნის გამზირი | 3021 | არასასოფლო | 53.20.31.180 | 30210 | 3021 | 500 | 50 |
| ლოტი 2 | ალაზნის გამზირი | 3005 | არასასოფლო | 53.20.31.178 | 30050 | 3005 | 500 | 50 |
| ლოტი 3 | ალაზნის გამზირი | 3028 | არასასოფლო | 53.20.31.179 | 30280 | 3028 | 500 | 50 |
| ლოტი 4 | ალაზნის გამზირი | 3009 | არასასოფლო | 53.20.31.180 | 30090 | 3009 | 500 | 50 |
| ლოტი 5 | ალაზნის გამზირი | 2937 | არასასოფლო | 53.20.31.181 | 29370 | 2937 | 500 | 50 |

**საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:**

ა) ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

ბ) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს (ქონება ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა).

**აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია:**

მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აგრეთვე, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. ამასთან, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"ს შენატანი არ დაუბრუნდება.

**აუქციონზე მონაწილეობის მიღება შეუძლია**

- საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**ინფორმაცია განცხადებების მიღების შესახებ:**

- აუქციონში მონაწილეთა განცხადებების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 11[00] საათიდან 17[00] საათამდე შაბათ-კვირის გარდა, ხოლო, აუქციონის ჩატარების დღეს განცხადებები მიიღება 10[00] საათიდან 12[00] საათამდე.

**აუქციონში მონაწიელობის მიღების მსურველი საუქციონო კომისიას წარუდგენს:**

- განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფირმაციას მონაწილეზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, იმ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;
- „ბე"ს და მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყის გასაყიდ ფასზე „ბიჯის" დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;

**აუქციონი ჩატარდება** გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს 14[30] საათზე. ხოლო თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, აუქციონი ჩატარდება მომდევნი პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე. მისამართი თელავი, ერეკლე II გამზირი №16 – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**საბანკო რეკვიზიტები – წინასწარი გადახდა (ბე)**

სს „სტანდარტ ბანკის" თელავის ფილიალი

ბანკის კოდი– 220101945

ა/ა 24000419976

შემდეგი გადახდა

**სახელმწიფო ხაზინა – ბანკის კოდი-220101222**

ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900

სახაზინო კოდი – 300513390

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – ერეკლე II გამზ. №16, ოთახი №24 ტელ. 7.13.35.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აცხადებს ტენდერს აკადემიის კურსატების, ჯარისკაცებისა და ვადიანი მოსამსახურეების კვებით მომსახურების შესყიდვაზე II ლოტად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

**ლოტი I** დაახლოებით 400 მსმენელის ყოველდღიური (სასწავლო დღეების გათვალისწინებით) ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

